



# ახალი იპერია

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

LA NOUVELLE IBERIE

ORGANE DE LA JEUNESSE NATIONALE DEMOCRATE GEORGIENNE

Redaction et Administration: Mr V. Djibladzé.  
8, rue Coypel, 8 Paris (13)

N° 8

პარიზი

1933



თებერვალი 1988

## სუცეზუს ჩაქუჩი.

მსოფლიოს ყურადღება დღეს იაპონიას უბუკია. ის ამ ჟამად იმპერიულ შემოქმედებაშია. კაცობრიობის თვალწინ, ურთიერთ შორის ქიშპობით დაუძლურებული ევროპიელ სახელმწიფოთა ანგარიშის გაუწყველათ და ზოგი მათგანის თანაგრძნობითაც, ის ყვითელი რასის იმპერიას ჰქმნის, მომავლისათვის მსოფლიოში საკუთარი ჰეგემონიის დასამყარებლად. ქეშპობითად საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენებს აქვთ ადგილი დღეს შორეულ აღმოსავლეთში. მანჯურია, ჩრდილო ჩინეთი და კორეა, ე. ი. აზიის კონტინენტის ის ადგილები, სადაც მას ნიადაგი უკვე მაგრათ აქვს გამავრებული, თითქმის ასოც მილიონ მცხოვრებს შეიცავს. ფაქტიურად, ამ ჟამად ამომავალი მზის იმპერია 180 მილიონი მცხოვრებისაგან შესდგება. ასე რომ მიკადოს მომავალი არმია თვრამეტი მილიონი ხიშტისაგან უნდა ვივარაუდოთ.

ვისაც დაკვირვების უნარი აქვს და წარსულის დაფასებაც შეუძლია, ის დღევანდელ მოვლენებში მთელი ევროპისათვის საერთო საფრთხეს დაინახავს. ხალხთა და რასათა შორის მუდმივი ქიშპობა და ბრძოლები მომავალშიაც ასევე იქნება. ბუნების კანონია, რომ ძლიერმა დაიპყროს სუსტი. ადამიანთა რიცხვი რომ გამრავლდება და ეროვნული ერთეულები ჯანს და ღონეს დაიგროვებენ, ძლიერი ერი ან ძლიერ ერთა კოალიცია სუსტრა დაპყრობას მიჰყვება. ეს მოვლენა ხშირად განმეორებულია წარსულში და ამის მაგალითს ვხედავთ დღესაც შორეულ აღმოსავლეთში. შეიძლება ხვალ ეს მაგალითი უფრო ახლოს, ევროპის ტერიტორიაზეც ვნახოთ.

მართლაც, იაპონიის მიზანია ჩინეთი ეკონომიურად დაიპყროს და იქ შეიქმნას მორჩილი და მოკავშირე თანამედროვე ყალიბის სახელმწიფო. იაპონიას მოკავშირე სჭირია მხოლოდ სხვა რასის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ამ მხრივ წარსულის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჩინეთ იაპონიის კავშირი თეთრი რასის წინააღმდეგ ადვილი დასაშვებია. 1894 წელს იაპონიამ ჩინეთი დაამარცხა. საზაგო კონფერენციაზე ყველაზე უფრო ჩინეთს რუსეთი გამოეხარა. ხოლო, 1904 წელს, რუსული მოტივით ჩინეთს იაპონიისადმი მტრობა დაავიწყდა და მისი გულწრფელი დამხმარე გახდა რუსეთის დამარცხებაში. შორეულ აღმოსავლეთში ამ ჟამათ არსებულ კონფლიქტის შედეგათ შეიძლება ჩინეთის ცენტრალური მთავრობის ხელმძღვანელები პიროვნულად გამოიცვალონ, მაგრამ ჩინეთი მაინც ჩინეთად დარჩება და ხვალინდელ ომში ის იაპონიას ამოუდგება გვერდით, ტოკიოს პან-აზიური და ანტიევროპიულ მოქმედებაში. ვანა თვით ჩინეთში არ აღმოაჩინეს საიდუმლოთ დამუშავებული გეგმა ჩინეთის მიერ ევროპის დაპყრობა დაუფლებისა? დღემდე უძლურ ჩინეთში ასეთი გეგმების არსებობა საკმაო საბუთია ვიფიქროთ, რომ ძლიერი ია-

პონიის ხელით ამ გეგმის განხორციელების დროს ჩინეთიც მისი მოკავშირე იქნება.

1902 წელს იაპონიის სამხედრო შტაბში დიდ რუყევას ჰქონდა ადგილი. გადაწყვეტილი იყო თეთრი რასის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. რუყევაში იყვნენ თუ სად დაეწყათ პირველი ბრძოლა: მანჯურიაში რუსეთის დასამარცხებლად თუ ინდო ჩინეთში აზიიდან საფრანგეთის გამოსადევნათ. შტაბის წევრთა უმრავლესობა მომხრე იყო ანტიევროპიულია მოქმედება ინდო ჩინეთის დაპყრობით დაწყებულიყო, მაგრამ ამ აზრს წინ აღუდგა ფორმოზას იმ დროინდელი მმართველი ლენერალი კოდამა რომელმაც, იაპონური თვალსაზრისით სრულიად სწორსა და დასაბუთებულ მოხსენებაში ცხადპყო პირველ რიგში რუსეთის დამარცხების საჭიროება, რაც შემდეგისათვის გაუადვილებდათ ევროპელთა აზიიდან გამოდევნას. ამ მოხსენების წარდგენის ორი წლის შემდეგ კუროპატკინის არმია მუკდენის მიდამოებიდან თავდავიწყებით გარბოდა და რუსეთის სამხედრო ფლოტი, როკდესტვენსკის მეთაურობით ოკეანეს სიღრმეში იძირებოდა. მას შემდეგ იაპონია მოხერხებულად და მეთადიურად განაგრძობს თეთრი რასის აზიიდან გამოდევნის პოლიტიკას.

ლენერალ კოდამას მოხსენება საიდუმლოთ დარჩა თითქმის სამი წელიწადი და გამოქვეყნდა მხოლოდ ერთ-ერთი სახელმწიფოს მოხერხებულ შპიონაჟის წყალობით. ეს ფაქტი მოწმობს, რომ 35 წლის წინეთ იაპონიას აზრათ ჰქონდა თეთრი რასის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება მაგრამ ამ განზრახვას შესაფერ დრომდე საიდუმლოდ ინახავდა. დღეს კი აღმირალა სუეცუგუ, წვერი ტოკიოს მთავრობისა, აღარ ერიდება იდენტიური აზრის საქვეყნოდ გამოქვეყნებას: აღმირალმა ცხადათ და ახლილად ამცნო ქვეყნიერებას, რომ აზია აზიელებს უნდა ეკუთვნოდესო და თეთრი რასა აზიის მიდამოებიდან უნდა გაიდევნოსო. მინისტრი სუეცუგუ მხოლობით რიცხვში არ იმყოფება. შარშან, მასზე ადრე, სხვა ოფიციალურმა პირებმაც — მართალია უფრო რბილ ფორმაში — მაგრამ არსებითად იგივე აზრი გამოსთქვეს.

ბევრს ვერ გაუგია თუ რათ დასჭირდა იაპონიის მთავრობის წევრს ამ ლოზუნგის ასე ამკარად გამოქვეყნება. მიზანი ცხადია და ადვილათ ასახსნელი: ანტიევროპიული ომის საწარმოებლად საქირთა პირველ ყოვლისა აზიელ ხალხთა სულიერა კავშირი და მათი მისწრაფების იგივეობა. იაპონიამ კარგათ იცის, რომ ინდოეთში 70 მილიონი მაჰმადიანი დიდი ბრიტანეთის მომხრეა. მან იცის, რომ თანამედროვე ოსმალეთის შემქმნელი ევროპის ოჯახის წევრათ სთვლის თავის სამშობლოს და ამ უკანასკნელის ბედ ილბალს ევროპის ბედთან აკავშირებს. იაპონიამ იცის აგრეთვე, რომ ჩინგის ხანისა და თემურ კოჭლის მიერ ტიბეტიდან კავკასიამდე დათესილი მონგოლთა რასის ტომები, რიცხვით, დაახლოვებით ოც და ათ მილიონამდე, ეროვნული სახეობის ძიებაში არიან და მათ სჭირიათ გამამხნევებელი სიტყვა ძლიერი მონათესავე აზიელისა. დასასრულს, ჩინეთი მისი დღევანდელი მეთაურის ჩანგ-კაი-შეკის ხელმძღვანელობით ბრძოლას განაგრძობს დამოუკიდებლობის შესანახავად



და ევროპიდან დახმარებას მოელის — იაპონიას სჭირდება, რომ ეს იმედი ჩინელს მოუსპოს. ყველაფერ ამას რომ იაპონიისათვის სასარგებლო მიმართულება მიეცეს, მას დასჭირდა აზიელთა თვალში ევროპიელთა ბრესტიევი დასაცეს და თან აზიური სულის ფორმაციისათვის საბაირალო წამოძახილი გადაისრავლოს: აზია აზიელთ უნდა ეკუთვნოდესო! აღმ. სუეცუგუს განცხადებას მხოლოდ ეს მიზანი შეიძლება ჰქონოდა და ამ მიზანს ზედმიწევნით მიაღწია: მისი ხმა მოდებულა ხარბინიდან სკუტარამდე და ირკუცვიდან კალკუტა და პონდიშირამდე. ზოგჯერ ეს ხმა სახელმძღვანელოდ მიიღეს და შესაფერისი პროპაგანდაც დაიწყეს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვიკირდება: ჟურნალ „კავკაზის“ სულის კვეთება ტოკიოდან მონაბერი ქარის შედეგია.)

იაპონიის ეხლანდელი გაბედული მოქმედება აიხსნება უმთავრესად ევროპიელ სახელმწიფოთა ურთიერთ შორის ქიშპობით. დიდი ომის შემდეგ, საზავო კონფერენციის მეორე დღეს, გერმანია ეულად დარჩა მთელს მსოფლიოში. შესაძლებელ მოკავშირეთა ძებნაში, გერმანიის ყურადღება პირველ ყოვლისა იაპონიის კუნძულებზე შეჩერდა. შორეულ აღმოსავლეთში მოკავშირეს შოვნის ცდა ჯერ კიდევ დოქტორ სიმონის ტოკიოში ელჩად გაგზავნის დროს იწყება. პარალელურად, გერმანიას ცდა არ დაუკლია მორიგებოდა თავის დასავლეთის მეზობლებს, მაგრამ დღემდე სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია. ამის შემდეგ გასაგებია, რომ გერმანია არ დაერიდა იაპონიასთან კავშირის მაქსიმალურად განვითა-

\*) უცნაური ლოდიკის პატრონია „კავკაზი“ს ხელმძღვანელი. ის „აზიურ პაქტს“ აღტაცებაში მოუყვანია და კავკასიელთ არწმუნებს, გინდათ თუ არ გინდათ აზიელთა ოჯახს ეკუთვნიო. ამიტომ ის აზიის მიმართულებით გვეპატივება. თანაც სასაცილოს უწოდებს ყველა იმათ ვინც კავკასიაში თავის თავს ევროპიელთა ოჯახის წევრათ სთვლიან. ხოლო რამოდენიმე სტრიქონების შემდეგ, მის მიერ გააზიელებულ კავკასიის ერებს, სიტყვა სიტყვით შემდეგ ნუგეშს აძლევს:

„არ არსებობს მიზეზი რომ ამის გამო დავლონდეთ. ჩვენთან მოახლოებული აღმოსავლეთი მომაკვდინებელ ობსკურანტიზმის გაშეშებული აღმოსავლეთი კი არ არის, არამედ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და ევროპიული ცივილიზაციის მიღწევებისათვის დახარბებული...“ (ხაზი ჩვენია). თუ ჩვენი სურვილი ევროპიელთა რიცხვში ყოფნისა სასაცილოა, რატომ არ არის სასაცილო ავღანისტანის, ირანის, და ირაკის მომავალი გაევროპიელება? მეორე, ჟურნალი „კავკაზი“ს ერთი მთავარი საგანია დაამტკიცოს რომ კავკასიელ ერებს არა სჭირიათ რუსეთი და რუსული ენა ევროპიული კულტურის შესათვისებლად. ეს სწორი დებულე ბაა. მაგრამ ვერ გაგვიგია რათ დაგვიკირდება საადაბადის ხელშეკრულებაში შემავალ „ევროპიული ცივილიზაციის მიღწევებისათვის დახარბებული“ გადაკიდება? ეს წინააღმდეგობანი რომ ადამიანმა შენიშნოს, საჭიროა მას ჰქონდეს კავკასიური ორიენტაცია არა მარტო სიტყვით არამედ შეგნებით, გრძნობით, და სულისკვეთებით.

რებას. კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლის საბაზმა ამ შეთანხმების აქტი გაადვილა. საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებამ იტალია, ბერლინი - ტოკიოს დაუკავშირა. იდუმალ ძალთა ზეგავლენით საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების შედეგად, საფრანგეთის კავშირი პოლონეთთან და ბალკანეთის სახელმწიფოებთან შესუსტდა. ინტერესთა და შეხედულებათა ასეთი დაქსაქსულობა ევროპის სამხედრო დასუსტების ნიშანი გახდა. ამით ისარგებლა იაპონიამ და აზიელებს გაბედული ლოზუნგი მიაწოდა. სუეცუგუს მკვეთრი მოწოდება ჩაქუჩივით ხვდება თავში ევროპის კონტინენტზე მცხოვრებთ. გერმანიას, მისი საერთაშორისო მდგომარეობა ნებას არ აძლევს სუეცუგუს განცხადება საჯაროთ დაჰვმოს, მაგრამ ვინც გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკას თვალყურს ადევნებს შენიშნავდა, რომ ყვითელი საფრთხე კვლავ საგონებელი გახდა ვილჰელმშტრასის მეთაურთათვის. საფრანგეთში, კომუნისტების გამოკლებით, პოლიტიკური წრე არ დაჩინებულა, რომ გერმანიასთან შეერიგების საჭიროება და სარგებლობა არ ეგონო. ინგლისი ხომ უმთავრესი წამგებია სუეცუგუს დამუქრების სისრულეში მოყვანის დროს. საფრანგეთში და ინგლისში, ის პოლიტიკური პიროვნებანი, ვინც ფიქრობდნენ რომ შეიძლებოდა გერმანიის ჯაჭვებით შეკვრა და დამონაგება, თითქმის მიხვდნენ, რომ ამ პოლიტიკით დიდ საფრთხეს უმზადებდნენ მთელს ევროპულ კულტურას. ამ წრეებში გერმანიასთან შერიგების სურვილი საგულისხმოდ იზრდება. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ამ ორი ქვეყნის ინტერესთა წინააღმდეგობა გადალახული და შეთანხმების მიღწევა უზრუნველყოფილი იყვას. ვერაფერ იტყვის რას გვიქადის მომავალი. ჩვენ არ ვიცით ანკარის გამომძახილი სუეცუგუს განცხადებზე.

ოსმალეთის ტერიტორიის მხოლოდ ხუთი პროცენტი მდებარეობს ევროპაში, დანარჩენი კი აზიაშია. მაგრამ ამ ორიოდვე წლის წინათ, ერთი დიპლომატიური შემთხვევის გამო, მისმა მთავრობამ ოფიციალური განმარტების მოთხოვნით ცხად ჰყო მისი ევროპული ეროვნების სულისკვეთება. ჩვენი ეროვნული პოლიტიკის საერთაშორისო ორიენტაციისათვის, ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთის საკაცობრიო შეხედულებას და ამიტომ ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის ხელშემძვანელთ მართებთ ამ საკითხს ფხიზლად ადევნონ თვალყური.

ყოველშემთხვევაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიის გამოკლებით, ევროპის საერთო რეაქცია სუეცუგუს განცხადების წინააღმდეგ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ტოკიოს მთავრობა იძულებული გახდა დიდათ გავლენიანი მინისტრის, და ალბათ მთავრობის მომავალი თავმჯდომარის განცხადების მნიშვნელობა ჯერ განმარტების საშუალებით და შემდეგ იმპერიული საბჭოს დადგენილებით შეესუსტებინა. თუ რა სახეს მიიღებს მომავალში იაპონიის პან-აზიური შემოქმედება, ეს დამოკიდებულია ერთის მხრივ თვით ევროპაში საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებისაგან და მეორეს მხრივ — თუ რა მიზნებს დაიხსნავს და საბოლოოდ რა საერთაშორისო ორიენტაციას დაადგება განახლებული ოსმალეთის ხელისუფლება.

## შ ა ვ ი თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1921 წლის თებერვალი სამუდამოდ დარჩება ჩვენს ისტორიაში უდიდესი ეროვნულ ტრადედიის თარიღად. ამ თარიღის მოგონებაზე ყოველი ქართველი უსაზღვრო ტანჯვასთან ერთად, ბუნებრივ ცნობისმოყვარობასაც განიცდის — რატომ დავმარცხდით ასე სამარცხვინოდ? ნუ თუ უხსოვარ დროიდან მეომრებად სახელგანთქმულ ქართველობას, ჩვენს დროში ეროვნული თავდაცვისათვის, საკუთარი სამშობლოს დასაცავად მეტის ვაკეთება აღარ შეგვეძლო?

ეს კითხვა დღეს მეტის სიმწვავეით ისმის ვიდრე აქამდე. ამის მიზეზი ჩვენს თვალწინ მომხდარი გასაოცარი ამბებია: როგორ იბრძოდნენ შეილდ-ისრით შეიარაღებული, ტიტველი ვითოებები ევროპის ერთი უძლიერესი სახელმწიფოს, სამხდრო ტენიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეიარაღებული, შესანიშნავად გაწვრთნილი იტალიური ჯარის წინააღმდეგ? როგორ იბრძვიან დღეს, ათეული წლების სამოქალაქო ომითა და ანარქიით დაუძლურებული ჩინელები, მთელ მსოფლიოში ერთი უმრისხანესი სამხედრო ძლიერების წინააღმდეგ? დაბოლოს, რომელი მომენტი რუსეთ-საქართველოს ომიდან, რომელი ეპიზოდი შეიძლება შევადაროთ ალკაზარის ზღაპრულ სიმტკიცესა და მადრიდის დღემდე დაუძლეველ სიკერბეს?

სამშობლოსათვის თავგანწირვის ამ წარმტაცი მაგალითების მაყურებელ და თებერვლის დღეებში სირცხვილ ნაკმევ ქართველს უნებურად იჭვი გეპარება: — იქნებ არ იყვეს მართალი ჩვენს წინაპართა ლეგენდარული მხნეობა და დიდ გორის ბრძოლიდან ასპინძასა და კრწანისამდე ყველაფერი შეთხზული იყვეს? ამ გულის ამღვრევ კითხვაზე ჩვენი პირ უთვისელი ისტორია დამამწვიდებელ პასუხს იძლევა. მაგრამ ლამაზი დამარცხებას. ჩვენი ისტორიის ბუნებას არ ეფუება საქართველოს ტერიტორიის ორ-სამ კვირაში გადარბენა და მთელი ქვეყნის მტრის ხელში ჩატოვება. 1921 წლის სამარცხვინო დამარცხებით ქართული ისტორიის ლოდიკა ირღვევა; თებერვლის დამარცხება ვერ უთვისდება ჩვენი წარსულის შინაარსს.

ამ დამარცხებას თავისი ღრმა მიზეზები უნდა ჰქონოდა. ჩვენ არ შეუდგებით ამ მიზეზების მთელი კომპლექსის განხილვას. ამ ამბებს ჩვენი დროის ქართველობა იმდენად მწვავედ განიცდის, რომ ძნელია ისტორიკოსის სიმშვიდითა და მიუდგომლობით ყოველი დეტალის განხილვა. აქ შევეხებით მხოლოდ ისეთ მოვლენებს, რომლებიც უდავოდ დამტკიცებულად ჩაითვლებიან.

საქართველო დამარცხდა, რადგან ის მოუშნადებელი აღმოჩნდა თავდაცვისათვის. ვერ ვიტყვით, რომ რუსეთის თაიდასხმა ჩვენთვის მოულოდნელი იყო. დენიკინ - ვრანგელის დამარცხების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა დაუყონებლივ შეუტია რუსეთის ბატონობიდან განთავისუფ-

ლებულ განაპირა ქვეყნებს და მათ შორის კავკასიას. დაიპყრეს მთიელთა რესპუბლიკა. დაიპყრეს აზერბეიჯანი. დაიპყრეს სომხეთი... დასავლეთით, საქართველოს მოსაზღვრე მავი ზღვის ოლქი უკვე წითლებს ეკირათ. აშკარა იყო, რომ ამიერ კავკასიაში დამკვიდრებული რუსეთი, ყოველი მხრიდან ალყა შემოორტყმულ საქართველოსაც იემოქმედდა. აშკარა იყო ყველასათვის, რომ წითელი ხედრობა მხოლოდ შესაფერ მომენტს უცდიდა. ამას ვერა ხედავდა მარტო ჩვენი ქვეყნის მეთაურობა, საქართველოს მთავრობა.

საქართველოს გასაბჭოების პირველი ცდა 1920 წ. ვაზაფხულზე მოხდა. წითელი არმია იერიშზე გადმოვიდა მაგრამ დამარცხდა. და აქ ხდება დაუჯერებელი, გაუგონარი ამბავი: სამხედრო თვალსაზრისით ბრძოლის ველზე გამარჯვებული საქართველო პოლიტიკურმა მეთაურობამ ომიდან დამარცხებული გამოიყვანა. შეტევაზე გადასულ, გამარჯვებულად წინ მავალ ქართულ ჯარს საქართველოს მთავრობა უკან ახეივებს და წითელი არმია ამიერ-კავკასიის ფარგლებში რჩება. ეს იყო — ნებისთ თუ უნებლიეთ — დიდი სამსახურის გაწევა წითელი მხედრობისათვის. მათ მიეცათ საშვალეება შეესვენებინათ და თავიანთი ნაწილები შეეცსთ. საქართველოს ბედი არსებითად ამ მომენტში გადასწყდა. მტერი ხელ-ახალ სამზადისს შეუდგა. ჩვენს მთავრობას ხელი უვარდება წითელი სარდლობის საიდუმლო გეგმა, საიდანაც სრულის სიცხადით ირკვევა საბჭოთა რუსეთის განზრახვა. ჩვენი მთავრობა იცნობს ჰეკერის სამხედრო გეგმას საქართველოს დასაპყრობად. მთავრობას ყოველი მხრიდან მიუთითებენ მოახლოვებულ საფრთხეზე. ქართველი ნაციონალისტები დაუღალავად ამხელენ მთავრობის საბედისწერო სიბეცეს. ისინი ნათლად ხედავენ მოსალოდნელ უბედურებას და თავიდანვე ითვალისწინებენ ჩვენი მთავრობის პოლიტიკის შესაძლებელ შედეგებს. დამფუძნებელი კრების ეროვნული ოპოზიციის მეთაური ბ-ნი სპ. კეღია გამუდმებით აფრთხილებს ქართველ ერს.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ბ-ნ სპ. კედიას გამოსვლებიდან რამდენიმე ამონაწერს, რომელთაც დღეს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ეს გამოსვლები მოწმობენ, რომ ქართულ ნაციონალიზმს წინდახედულება, მომავლის განსჭკერტის უნარი და ქვეყნის გადასარჩენად საჭირო გეგმა ამ რევოლუციონური ფსიხოზის ხანაშიც არა ჰკლებია; ბ-ნი სპ. კეღია დიდის ზედმიწევნობით არკვევს ბ-ნ ჟორდანიას მთავრობის საბედისწერო პოლიტიკის მიზეზებს: „ცხადია — ამბობს ის — რომ მთავრობა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ძიება თავის დღეში არა ჰქონია მიზნად და რომელმაც მხოლოდ გარემოების ძალდატანებით ჩაიბარა უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მართვა-გამგეობა, ცხადია, რომ ასეთი მთავრობა ვერ გამოიჩენდა იმ შემოქმედებით სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომლითაც მხოლოდ შეიძლებოდა ამ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო შენობის აგება და გამაგრება. ეს ხალხი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი იყო ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. მისთვის გაუგებარი იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც ყველგან უღარეს კომპრომისს მოით-

ხოვს, ამის ნაცვლად ეს ხალხი აწარმოებს ცალმხრივ დამქსასაც პოლიტიკას, სდგას კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე და სთესავს „ჰაქა-ძავის“ და შეუთრეგებლობის იდეოლოგიას...“

...„ახალგაზრდა სახელმწიფოს გამაგრებისათვის იმ პირობებში, რა პირობებშიაც ჩვენ აღმოჩნდებით, აუცილებელი იყო წესიერი ჯარის შექმნა. ჩვენი მთავრობის პოლიტიკა-კი ამ საქმეს იმ თავითვე მტრულად შეხვდა, ვინაიდან იგი წლობით აღიზარდა ამ რეგულიარული ჯარის სიძულვილში; რადგანაც მისი მისწრაფება საერთაშორისო განაარადება იყო, ეს პრინციპიალური პოზიცია მან პირდაპირ ჩვენს სინამდვილეში გადმოიტანა და ჯარის შექმნა თითქმის შეუძლებელი გახდა. ჯარის შექმნის მაგიერ მთავრობა ინტერნაციონალურ სოლიდარობის ფრაზებს რაზმავდა...“

...„მეტი სიყვარული მივსცეთ ჩვენს ოფიცრობასა და ჯარისკაცობას. მეტი ნდობა ჩვენს ოფიცრობას და ისინი არ შეარცხვენენ საქართველოს ხმალს. ჯარია ჩვენი იმედი, ჩვენი ბჭე. ყველაფერი ჯარისათვის!“...“

...მთავრობის მუშაობა იმდენად იქნება პოზიტიური და სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის, რამდენად იგი თავის წარსულს დაუპირდაპირდება. რამდენადაც იგი შესძლებს თავის თავის უარყოფას. მისი წარსული პოლიტიკის გავრძელება-კი ჩვენს ქვეყანას გაანადგურებს და დაღუპავს („ო.“) არც ქართველ მხედრობას დაუკლია მთავრობისათვის მოთხოვნისებათა წაყენება. ემიგრაციაში გამოქვეყნებულ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ძლიერი ქართული ჯარის შესაქმნელად და თავდაცვის მოსაწყობად საჭირო ღონისძიებათა პროექტი, ქართლვეი სამხედრო სპეციალისტების მიერ დამუშავებული, მთავრობას უპასუხოდ დაუტოვებია

სოციალისტურმა მთავრობამ ვერ შესძლო თავისი შინაგანი არსების დაძლევა, მან ვერ შესძლო „თავისი თავის უარყოფა“, როგორც საჭიროდ სთვლიდა ბ.ნი სპ. კელია. მარქსის უსულო დოქტრინით დატყვევებული, ეროვნულ ინსტიქტსა და სახელმწიფოებრივ აღლოს მოკლებული მთავრობა ჯიუტად იცავს თავის გზას. მას არა სურს ვინმესაგან რჩევა მიიღოს; არა სურს გადაუხვიოს ერთხელ აღებულ გზას: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“.

ეს მენშევიკური ფორმულა, შემდეგ მომხდარი ამბების ფონზე, არსებითად, მოსკოვისათვის გამოდგა ხელსაყრელი. თუ „მარჯვნივ“ გადახვევა ევროპისაკენ მობრუნებას და „კაპიტალისტურ“ ქვეყნიერებასთან ეკონომიურად და პოლიტიკურად გადაბმას ნიშნავდა, ამ გზისა და ორიენტაციის უარისყოფა, ჩვენი ქვეყნის ევროპიდან მოწყვეტას და წითელი რუსეთის პირისპირ ჩვენი თავის ანაბარა დატოვებას გულისხმობდა. მთავრობამ ეს გზა არჩია.

ამ პოლიტიკის შედეგები თვალწინა გვაქვს. გამარტოვებული, მეგობარ - დამცველს მოკლებული, ომისათვის მოუშზადებელი ქვეყანა რუსეთის ახალ თავდასხმას ვეღარ ივერიებს...

ჩვენი დედა-ქალაქის დასაცავად 10—12 ათასი ჯარის კაცის მეტს ვეღარ ვშოულობთ!

\*) ვსარგებლობთ საქ. დამფ. კრების სტენოგ. ანგარიშებით



დამარცხდა „სოციალისტური“ რესპუბლიკა. დამარცხდა ქართველი ერის ბუნებისათვის, მისი ასტორიისათვის უცხო და ეროვნული ისტორიებისათვის შეუფერებელი რეჟიმი. დამარცხდა პროლეტარიატის დამცველთა პარტიის ერთი ფრაქცია და ქართველი ერი ახალ მონობაში ჩააგდო. მენშევიკურმა მთავრობამ საქართველო კვლავ რუსეთს გადასცა. მაგრამ დაუძლეველი და უკვდავია ქართული ნაციონალიზმი. ქართველმა ერმა მტრის შემოსევის პირველ დღეებიდანვე იარაღი აისხა და უკვე სრული ნაციონალიზმის გზით, ქართული ეროვნული დროშის ქვეშ კილით-კილემდე გაერთიანებული 17 წელია დიდ რუსეთს ებრძვის.

ბრძოლაში შობილი და აღრზდილი ქართველი ერი ბრძოლითვე დაიბრუნებს დაკარგულ თავისუფლებას — ასეთია ჩვენი ურყევი რწმენა და ობიექტიური ნიშნებიც.

ორბელი

## დიდი ილია

### II

ეროვნული დოვლათის შექმნის მიზნით ილია სათავეში უდგება ქართველ სათაყვად-აზნაურო ბანკის საქმეს. დიდი ნეცდომაა იქნება, რომ ეს ბანკი რომელიმე ევროპულ ფინანსიურ საზოგადოებას შევადაროთ. ეს იყო ეროვნული დაწესებულება, საქართველოს ბიუჯეტისა და ქართული ფინანსების შემქნელი; ჩვენი ეროვნული დოვლათის მფარველი და ყველა კულტურულ დაწესებულებათა შემნახველი; ეს იყო ერთად-ერთი აპარატი, სადაც საქართველოს პირ-ვარამზე ლაპარაკი შეიძლებოდა და სადაც ქართულ ეროვნულ ძალებს სამოქმედო ნიადაგი ეძლეოდა. ეს დაწესებულება ჩვენს ქვეყანას პარლამენტისა და მთავრობის მაგიერობას უწევდა და ზოგჯერ ჩვენი ქვეყნის მტრებს მათი ქონების კონფისკაციით სჯიდა.

ბანკის კრებებზე ირჩევა და სწავდება ისეთი საკითხებიც, რომლებსაც ფინანსიურ ოპერაციებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ამავე დროს ილია ფიზიკლად გუშავად უდგას საქართველოს სახელს და ჩვენი მტრების წინააღმდეგ დაუზოგველ, სასტიკ შეტევებს აწარმოებს. ამ პერიოდშია დაწერილი მისი უკვდავი „ქვათა დაღადი“, „აი ისტორია“ და სხვა მრავალი შრომა, მტერს ბასრი მახვილივით რომ ანადგურებდა. ერთობ საქართველოს შეუტევედნი, თუ რომელიმე მის კუთხეს, ქვეყნის სახელით პასუხისმგებელი ილია იყო. იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს, რომ თურმე როცა ქვეყანას ვასაჭირი დაუდგებოდა, მოწინავე ქართველები: ნ. ნიკოლაძე, იაკ. გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვები ილიას მიაშურებდნენ: — „გაგვიძებ ბერო მინდიავე, კარს ვასაჭირი მოგვდგომიო“. ილიაც, უნაკლოდ შეიარაღებული საქართველოს დასაცავად ბრძოლის ველზე



გამოდინდა და დღეს ვიცი, რომ ქართული ღირსების შეღახვა მან არავის შეარჩინა; ყველა შეტაკებიდან ქვეყანა გამარჯვებული გამოიყვანა.

მაგრამ ილია დაუზოგველია არა მარტო საგარეო მტრების მიმართ, არამედ შინაურებისაც. როცა ილიამ ქართველების ერთ ნაწილს კუთხური განწყობილება შეამჩნია, როცა ყური მოჰკრა ამერელ - იმერელობაზე ლაპარაკს, ისეთი განრისხებული ეკვეთა ამ აზრის მთქმელებს, რომ დიდი ხნით ლაპარაკის მაღა დაუტკარვა: — „მე ამით ვაცხადებ ჩემს მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულიწვილური გრძობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევა ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოვიწოდებთ ასევე მოიქცეთ. დეე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიძარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა“—ო.

როცა რუსეთმა საქართველოდან სამეგრელოს ჩამოშორების პროპაგანდა დაიწყო და იმერული ანბანის გამოგონებამდე მივიდა, ილია დაუყონებლივ ესტუმრა სამეგრელოს; იქაურობა მოიარა და იონა მელხარგიას სიტყვით, მან განაცხადა: „სამეგრელოს სანახავად ჩამოვედი და საქართველო ვნახე“. ილია აღფრთოვანებული ეგებება აჭარის შემოერთებას და ქართველობას მოუწოდებს განსაკუთრებული გულსყურითა და მზრუნველობით მოეპყრან ამ კუთხეს.

ასე თავგამოდებით ზრუნავდა ილია ჩვეყნის ყოველ ნაწილზე. ქორისაგან დასაცავად წიწილებს გადაფარებული კრუხივით მთელ საქართველოს ეფარებოდა. მის წარსულს იცავდა, აწმყოს ამშენიერებდა და მომავლისაკენ საველ ვზას ჰკეთავდა. ილია ნაწილობრივ მოესწრო თავისი ნათესების მომწიფებას. მოესწრო ხალხის გათვითცნობიერებას და ამოძრავებას, ან როგორც თვითონ ამბობდა „უგემური ძილიდან“ გამოღვიძებას. მისი მოღვაწეობის მიწურულში საქართველო უკვე აღარ იყო ის ქვეყანა, რუსეთიდან ჩამოსვლ ილიას რომ დახვდა. თუ 63 წლის ტვილისში მესამე წიგნის მაღალიის გახსნა იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ამ საკითხს თვით ილიამ საგანგებო წერილი უძღვნა — ცხრაასიან წლებში. საიგნეურო უწყების მეთაურის მოხსენებით, საქართველოში — „წიგნი, ყურნალი და განსაკუთრებით გაზეთი თანდათან ვახდა ერთ-ერთ აუცილებელ კუთვნილებად მოსახლეობის ყოველი-„ოთიორი მოთხოვნილებისა“—ო. ეს ანაგემებს ილიას და მომავლს რწმინას უქმნის. მან იცის, რომ კიდევ დიდი მანძილია ვასავლოცი, კიდევ დიდი შრომა და ბრძოლაა საჭირო მიზნის მისაწვდომად, მაგრამ თვით მომავალი იქვე გარეშე სწამს: — „დღის თემცა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა კიდევ არ ვათავებულა და არც მალე ვათავებდა. იქნებ დიდი განსაცდელიც მოგველოს მომავალში. მაგრამ „მინჯ. თოის ცხადად და უტყუარად შესამჩნიეოლია ნიშნები ირის „გამოფხიზლობისა და ძველის საუკეთესო ნაწილირძავის აღდგინისა. „დიახ. თოის ბიარსაც ერთიანად გქწამს ჩვენი ქვეყნის მომავალი“—ო. ეს გარემოება ახარობდა ილიას. რადგან ის ახალი ნაბიჯის გადადგმას აპირებდა და მთელი ის 40 წლის დაუღალავი, გრანდიოზული საქმიანობა მხოლოდ სამზადისი, წინასწარი თადარიგი ია საჭირო ნიადაგი იყო ამ ახალი ნაბიჯისათვის. როცა ილიამ ნაბა,

შესაძლებელი, ის უბრუნდება, მთელი სიცოცხლე სათუთად გულით ნატარებ და ახალგაზრდობაშივე „მზავრის წერილებში“ აღძრულ ძირითად საკითხს, და უკვე ახდილად, აშკარად აყენებს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. ილია ეხლაც თავისებურ სიფრთხილეს იჩენს და ნიადაგის შესაშინჯავად, ავტონომიის მოთხოვნით იწყებს.

გ. ლასხიშვილი ივონებს, რომ რუსეთის სათათბიროში არჩევნების გამო, ტფილისში მოუწვევიათ კრება. აქ მისულა ილიაც და განუცხადებია: — „თუ საქიროთა ქართველმა თავადაზნაურობამაც „ხმა ამოიღოს, მაშინ უძჯობესია და უფრო შეგვეფერება საქართველოს ავტონომიის საკითხი და მოთხოვნა წამოვყენოთ“. — „ჩვენს დღეგატებს ჯერ არც-კი დაეწყოთ ეროვნულ საკითხზე ლაპარაკი, მხოლოდ ნიადაგს ამზადებდნენ და ილიამ დაასწრო: სთქვა „ის დიდი სიტყვა, რომლის გაგონებისაც-კი ეშინოდა ჩვენს ბრწყინვალე წოდებას“. თავის მხრივ ილიას დაპირება მიუტია, რომ თუ ამას იზამთ, ყველაფრით დაგეხმარებით და ამა საკითხს თავადაზნაურთა საკრებულოსაც მივადებინებო. მართლაც, იმავე ხანებში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას, მიუხედავად რეაქციონურად განწყობილი უმრავლესობის პროტესტისა, თავის რეზოლუციაში, ილიას მოთხოვნით შეაქვეს ერთი მუხლი, სადაც მოთხოვნილია ფართე პოლიტიკური ავტონომია. ასე თანდათან, მეთოდურად, ყოველი საფრთხის გათვალისწინებით, ყოველი ნაბიჯის წინასწარ მოზომვითა და უმცირესი მსხვერპლის გზით ილიამ საქართველო ფართე შარაზე გამოიყვანა და დამოუკიდებლობის დროშა თვალწინ გადაუშალა. ამიერიდან ქვეყანას მიზანიც გარკვეული ჰქონდა და სავალი გზაც. მხოლოდ საქირო იყო ამოძრავებული ქვეყანა ბრძოლის ეინს უკიდურესობაში არ გადაეჩეხა. ილია საერთოდ წინააღმდეგა ყოველგვარი უკიდურესობისა და ხალხს ზომიერებას და თანდათანობას ურჩევს. მისი სიფრთხილე მით უფრო დროული იყო, რომ საქართველოში უკვე ჩასახულიყო უკიდურესი ნიდილისტური მიმართულება, რომელიც ერსა და ერის უფლებებს უარპყოფდა და კლასთა ბრძოლასა და სამოქალაქო ომს ქადაგებდა. ილიას თავის მოღვაწეობის მანძილზე უთუოდ ბევრი ცუდი აზრი მოუსმენია, შეიძლება ბევრი სისულელეც გაუგონია, მაგრამ ის, რაც ეხლა ემართა, მისთვის ყველაფერზე საშინელი უნდა ყოფილიყო. ილია აშკარად ხედავდა, რომ ამდენი წამებითა და ვაი-ვაგლანით, აგურის აგურზე დადებით აშენებულ საქმეს, ქვეყნის ორგული შვილები დანგრევით ემუქრებოდნენ. და აბა როგორ აეტანა საქართველოს სიყვარულით სავსე ილიას გულსა და მის შორისმჭვრეტელ გონებას ეროვნული დამოუკიდებლობის სამასხაროდ ავდება და ქართველთა შორის სისხლის ღერისაკენ მოწოდება? არა, ილიას ამის მოსმენა აღარ შეეძლო! და უკვე მოხუცებული, სულის სიდრამიდე აღშფოთებული ილია უკანასკნელი ძალ-ლონით ეკვეთა ბოროტ აზრს. კლასთა ბრძოლა ილიას ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის დამლუპველად მიაჩნია. კომუნისტურ - სოციალისტური დევიზი : კლასი კლასის წინააღმდეგ საერთოდ ბოროტებაა და კერძოდ ქართველ ერისათვის გამანადგურებელი იქნებაო. „ერის წარმატება, ქო-



„ნებრივი თუ გონებრივი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთად, წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის განურჩევლად და გამოუყოფლად, ერთის ძეცადინეობითა და გარჯით ერმა „ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს“-ო. ის წინააღმდეგია სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლაში, ხალხმა თავის მხრივაც უსამართლობა ჩაიდინოს: მკვლელობა და სისხლის-ღვრა დაიწყოს. და როცა გონიერი რჩევა-დარიგება არა სჭრის, როცა ილია ხედავს, რომ ტერორისაკენ წამქეზებელთა პრესსა სისტემატიურად და დღითი-დღე ცეცხლში ნავთს ასხამს, ის მოაგონებს ქვეყნის წინაშე მოვალეობას: „დიდი მოვალეობა პრესსისა, მისი დეაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევე კი არ არის, შუა-კაცობაა..., მშვიდობიანობის ჩამოგდება, მოსარიგებელის მორიგებაა, შესარიგებელის შერიგებაა, იმისდა მიხედვით — ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ან ერთობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე“-ო.

ილია იშვიათი სისწორით წინასწარმეტყველობს, რომ მარქსისტულ-რევოლუციონური მეთოდების შემოღება საქართველოს და კერძოდ გლეხობას ძალიან ძვირად დაუჯდებაო. „მოვა დრო და ყველა ეს საზღაურად გაუხდება უამისოდაც მიწასთან გასწორებულ და წყალწაღებულ გლეხკაცობასა“-ო.

მაგრამ ილიას ოლიმპიური სიღინჯე და წინდახედულება უკვე აღგზნებულ-აფორიაქებულ ხალხის სულს ველარ ამშვიდებს. როცა სავარეო ვართულებათა გამო რუსეთში რევოლუციონური მოძრაობა გაძლიერდა და ეს ტალღა საქართველოსაც მოედო — ქვეყანა ორ ბანაკად გაიყო. აგრესიულად განწყობილ გლეხების საპასუხოდ თავად-აზნაურთა მკიერ ნაწილმა თვითონაც შეიარაღება დაიწყო. შესაძლებელია საქმე ნამდვილ სამოქალაქო ომამდე მისულიყო — რაც საქართველოსათვის კატასტროფა იქნებოდა — რომ ასპარეზზე ისევ ილია არ გამოსულიყო. 1905 წ. თავად-აზნაურობამ ეგრედ წოდებული „შავი რაზმის“ შედგენა დაიწყო. ამ საკითხის გასარჩევად მოწვეულ კრებაზე მიუწვეველად და ყველასათვის მოულოდნელად მისულა ილია და განუცხადებია: „ბატონებო, რაც ჩვენში ხდება, ყველგან მომხდარა. არ არის მსოფლიოში არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარიყოს. ქართველი ვაივლის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. თავად-აზნაურობას ბევრი აქვს მოცემული, მაგრამ ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება. რაც სხვას ეპატიება, თქვენ არ ეპატიებათ. მე ვხედავ თქვენს გაჭირვებას, მაგრამ რას იზამთ, უნდა მოითმინოთ. ისეთ ნურადფერს ჩაიდენთ, რომ, როდესაც ეს ამბები გაივლის და შინ დაბრუნდებით, მ ეზობელთან პირი გქონდეთ შერცხვინილი და თვალბნევი შეხედვას ველარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ. ცოტა ხნით გაჭირვება სჯობიან სამუდამოდ დაღუპვასა თა საშვილიშვილოდ მტრობის ჩამოგდებას თავად-აზნაურობასა და გლეხებს შორის. რად გინდათ ეგ იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ“-ო. შავი რაზმის იდეოლოგები არ სთმობდენ, ძავოად განა-

ჩენი გამოტანილი იყო: ილიას სიტყვების შემდეგ აბდუშელიშვილის რაზმმა ველარ იბოგინაო — სურს თავის შოგონებებში არჩილ ჯაჯანაშვილი.

ილიას ავტორიტეტი ურყევი დარჩა. სადაც გონიერ მოსაზრებას, ურყევ საბუთებსა და ლოლიკას ფასი არ დაუქარგავს, ილიას სიტყვა კვლავ კანონია. ამავე პერიოდში საქართველო ილიას ირჩევა თავის ერთადერთ წარმომადგენლად რუსეთის სახელმწიფო საბჭოში. ილია, მიუხედავად ხანშესულობისა, იღებს საქართველოს ამ დავალებას, რომ თავის სამშობლოს კიდევ ერთი, უკანასკნელი სამახსური გაუწიოს. პეტერბურგში ჩასვლისათანავე გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუში ის აცხადებს: „სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავად-აზნაურობამ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავად-აზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდნენ ზოგნი ჩემი ამომრჩეველნი, ეს დიდი შეცდომაა. საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. მე ადგილობრივ ინტერესებს დავიცავ და საერთო საკითხებს შევსწირავ ძალ-ღონეს“-ო.

სახელმწიფო საბჭოში ილიამ დიდი აქტივობა გამოიჩინა და ჩქარა შემარცხენე ფრაქციის მეთაური გახდა. იმ დროისოფიციალური ხასიათის წიგნებში, სადაც სახელმწიფო საბჭოს წევრთა პოლიტიკური დახასიათებაა მოცემული, ილია მიჩნეულია დიდ მემარცხენე და ნათქვამია: „აგრარულ საკითხში მომხრეა მიწების იძულებით ჩამორთმევისა, თუ ამას საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საჭიროება ეძიოთხოვს“. ცნობილია აგრეთვე, რომ მან დაამხადა ახალი კანონის პროექტი სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. მაგრამ ამ პროექტის საბჭოში შეტანა ველარ მოასწრო. დასასვენებლად საქართველოში ჩამოსული ილია უკან აღარ დაბრუნებულა. 1907 წლის 9 სექტემბერს, ტფილისიდან საგურამოსაკენ მიმავალს წინამურის ველზე დახვდნენ შეიარაღებული ნაძირალნი, და ჩვენი ქვეყნის ჰირისუფალს, ღვთით მოვლენილ მეთაურს, საქართველოს სიყვარულსა და ერთგულებაში გათეთრებული შუბლი გაუტეს. ეს საშინელი მკვლელობა, რომლის სირცხვილსაც საქართველო ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხავს, სამუდამოდ დარჩება ჩვენს ისტორიას ერთ ტრაგიკულ და მწვავე მომენტად.

რად მოხდა ეს საშინელება და ვინ ჩაიდინა იგი? — ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს დაჭირებულ მკვლელთა ვინაობას. მთავარია ამ საშინელების ორგანიზატორთა გამოძიებურება! და ამ მხრივ, სამწუხაროდ, გადაჭრით, სრული პასუხის გაცემა დღემდე შეუძლებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა საქართველოს შემარცხენელ ამ საშინელ საქმეს სრული ნათელი მოეფინება. დღეს გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა. ილია მოჰკლეს, როგორც განსაზღვრული პოლიტიკის ცოცხალი სიმბოლო და მედროშე. მაგრამ მკვლელები ანგარიშში მოსტყუვდნენ. მათ ველარ შეაჩერეს ილიას მიერ დაწყებული საქმე და ვით ქრისტეს წამებამ ბოლო ვერ მოჟლო ქრისტიანობის გავრცელებას — ილიას მოწამებრივმა სიკვდილმაც ველარ შეაყენა ქართული ნაციონალიზმის განვითარება.

ილიას მოძღვრება ისე ღრმად აღმოჩნდა დარგული, მისი ფესვები საქართველოს მიწაში ისე შორს წასულიყო, რომ ამ მკვლევლობიდან სულ 10 წელიწადში, ქართველი ერი ილიას დროშას საკუთარ დროში: დ. იხდის და საქართველო დამოუკიდებლობას აცხადებს.

აღ. ცომაია



## ოცი წლის თავზე

### II. „ეროვნული“ პოლიტიკა

რუსეთის ტრადიციულმა დენაციონალურმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით იმ ერთა შორის, რომელთა სულიერი და სოციალური კულტურა ძლიერი იყო, თავის შედეგებს ვერ მიაღწია. ბოლშევიკები კარგად იცნობდნენ ამ ისტორიას, დაპყრობილ ერთა სულის კვეთებას და მათ განუწყვეტელ, მუდმივ ბრძოლასა და მისწრაფებას დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღსადგენათ. ისიც კარგად იცოდნენ, რომ ძველი რუსეთი მეტად დამძიმებული იყო ეროვნული საკითხით და ყოველი მისი განძრევა სერიოზულ ხიფათის წინ აყენებდა. საფიქრებელი იყო. რომ ბოლშევიკები ყოველივე ამას სერიოზულ ანგარიშს გაუწევდნენ. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. საკითხი საცხებიტ გვერდ ახვეული იქმნა და გამოსავალ ფორმების ძებნა დაიწყეს. ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა ამ ფორმის სრული განსახიერებაა, ხოლო შინაარსი კი ველიკორუსულ ინტერესებიდან გამომდინარე. თავის „ეროვნული პოლიტიკის“ ღერძით დაპყრობილ ერთა სამშობლო ენა გაიხადეს. ამ ენაზედ ის ვალდებულია ბოლშევიკური იდეოლოგიის პროპაგანდა აწარმოვოს და პროზათ თუ ლექსით მპყრობელთა ქება სთხზას.

ბოლშევიკების ცრუ ეროვნულმა პოლიტიკამ მოინდომა დაპყრობილ ერთა ნაციონალურ მოძრაობის გამოყენება ბოლშევიკურ რეჟიმისა და ველიკორუსულ მთლიანობის განსამტკიცებლად. ამას ადასტურებს მოსკოვის ცენტრალურ საბჭოს მიერ 1920 წლის 21 თებერვალში გაცემულ ინსტრუქციათა მთელი რიგი. ერთ-ერთი ასეთი ინსტრუქციათაგანი მიმართული თურქესტანის ნაციონალურ ბიუროსადმი ამბობს:—„...მდგომარეობა, რომელიც მხედველობიდან არ უნდა იქნას გაშვებული, ეს არის ნაციონალური მიდრეკილება, რომელიც მუსულმანობაში ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა... ის საბჭოთა გავლენის ქვეშ უნდა მოექცეს და მის საბოლოო მიზნებს უნდა შესახურებოდეს... ასეთი დამოუკიდებელი საბჭოთა მუსულმანური რესპუბლიკები ვერ იარსებებენ თუ კი მათ მჭიდრო სამხედრო და ეკონომიური დამოკიდებულება არ ექმნათ რუსეთის ფედ. საბჭოთა რესპუბლიკასთან.“ როგორც სხვა მრავალ, აგრეთვე ამ ინსტრუქციიდან აშკარათ სჩანს, რომ დაპყრობილ ერთა ინტერესები აქ არაფერ შუაშია, არამედ წმინდა ბოლშევიკურ რუ-

სული და მათ „საბოლოო მიზნებს უნდა ემსახურებოდნენ“. ამ „საბოლოო მიზნის“ რეალიზაცია „ეროვნული პოლიტიკის“ ნიღაბ ქვეშ ხდება და მათ სტრატეგიულ“) და ტაქტიკურ მოსაზრებებს „ემსახურებიან“. ტაქტიკური მოსაზრებებით „ეროვნული პოლიტიკა“ ორ მიზანს ისახავს: შიგ — ეროვნულ ერთეულებში საკუთარ ეროვნულ ენაზედ ბოლშევიკურ სოციალიზმის პროპაგანდას და გარეთ: ის დანიშნული იყო საერთაშორისო „ბაზარზედ“ გასატანად. ამ თვალსაზრისით ის ბოლშევიკურ კონსტიტუციაშიც იქმნა შეტანილი. შემდეგ რუსეთი ველიკოროს ულიანოვმა ს.ს.რ-ის სახელწოდებით მონათლა, ხოლო ჯულაშვილმა კი თავის „ეროვნულ პოლიტიკას“ აზიარა. მეორე დღეს დედა-მიწის ზურგზე გაჩნდა ყიფინი „თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირზედ“ და ამის დასამტკიცებლად რუსეთის ახალ სახელწოდებაზედ მიუთითებდნენ. ქამელეონი ფერს იცვლის, გველი კანს, მაგრამ ბუნებას კი არა. რუსეთიც ასე: გუშინ „თეთრი“ იყო, დღეს წითელია, ხვალ „შავის“ მოლოდინშია მაგრამ მისი ბუნება მაინც უცვლელი რჩება, დაპყრობილ ერთა ბედი კი დღითი დღე უარესდება.

ბოლშევიკურ „ეროვნულ პოლიტიკის“ შედეგად საქართველოს და სხვა დაპყრობილ ერებს უშინაარსო „ფორმა“ ანუ რესპუბლიკის სახელწოდება ერგოთ, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ეროვნულ შინაარსს — მათი არც საკუთარი პოლიტიკური რეჟიმი და არც სოციალური სტრუქტურა იქმნა შეწყყნარებული. ბოლშევიკების „ეროვნულ პოლიტიკას“ დაპყრობილ ერთათვის არავითარი იურიდიული და პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. მისი უნებლიე პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ეროვნებათა ოფიციალურ „სახელმწიფო“ ენათ, სამშობლო ენაა აღიარებული, რომელიც იმავე დროს, ამავე ერთეულებში. ბოლშევიკურ იდეოლოგიის გასავრცელებლად უპირველესი იარაღია. ფაქტი ის არის, რომ საქართველო დაპყრობილია. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დამპყრობი „მონარქიულს“ თუ „რესპუბლიკანურ“ „იარლიკს“ მიაკრავს. მონარქიულ რუსეთს, რომ დაპყრობილ საქართველოსათვის „მონარქიული“ სახელწოდება მიემძღვნა და საქართველოს ტახტზედ ტომით ქართველი, ხოლო სულითა და გულთ რუსი მეფე დაესვა — ისე როგორც კავკასიის „ტახტზედ“ ლ. ბერა დასვეს — ის უფრო ენერგიულად და თავგამოდებით გაატარებდა საქართველოს რუსიფიკაციას და მეტ ზიანსაც მოგვაყენებდა, ვიდრე კავკასიის უგვირგვინო რუსის მეფეები. მოსკოვმა „რესპუბლიკის“ სახელწოდებას ამოაფარა თავი და თავის ბატონობისა და იდეოლოგიის განსამტკიცებლად, მასთან სისხლითა და ტერორით დაკავშირებული ქართველი მოხელეები მმართველებათ დააყენეს. სისხლითა და ტერორით ფეხ ქვეშ გათელეს საქართველოს სულიერი და სოციალური კულტურა და თავის ბატონობის დასამტკიცებლად საქართველოს ტერიტორიის მოზრდილი ნაწილი ოსმალეთს გადასცეს. რა შეიძლება ადამიანმა უწოდოს ასეთ

\*) იხილეთ „ახალი ივერია“ ნომ. 7.

პოლიტიკას „ეროვნული“ თუ ცინიკური? არა, ბოლშევიზმმა მესამე ინტერნაციონალის დაქირავებულ მოხელეთა დახმარებით, საბოლოოდ ველიკორუსულითვითმპყრობელური უცუდესი ფორმა მიიღო. ამაში დღეს — ბოლშევიზმის ბატონობის ოცი წლის თავზე — იქვი არავის შესდის.

მთელი ევროპის მიწა-წყლის მოცულობა დაახლოებით 8 მილიონ კვ. კილომეტრს უდრის. რუსეთს 170 მილიონ მრავალ ფეროვან და აჭრელეზულ მოსახლეობას, რომლის მსგავსი დედა-მიწის ზურგზედ არაფერი მოიპოვება, დაახლოებით 23 მილიონი კვ. კილ. სივრცე ეჭირა ე. ი. თითქმის სამჯერ მეტი ვიდრე ევროპას. მიუხედავად ამისა მისი ბეცი და გაუმადლარი პოლიტიკოსები კიდევ მის გაფართოებისაკენ მიისწრაფოდნენ. აია-სოფის ტაძარზე „ქრისტეს ჯვარის“ ცვლავ აღსამართავად რუსეთი სტამბოლის დაპყრობას ლამობდა და ამით მთელი თავის სიმძიმის ცენტრის ბოსფორის სტრატეგიულ პოზიციებზედ გადატანას აპირებდა. ეს რომ ასე მომხდარიყო კავკასია მთლიანად რუსეთის ანაბარა რჩებოდა. თუ ეს არ მოხდა, შეიძლება ამის ერთი მიზეზთაგანი რევოლუციაც იყო. რუსეთის ვეებერთელა ტერიტორიის მოსახლეობა 150 სხვა და სხვა ენაზედ მოლაპარაკე და 27 სხვა და სხვა სარწმუნოების მიმდევარ ხალხთაგან შესდგება. ის კეშმარიტად ბაბილონის გოდოლს წააგავს, რომელიც ენათა აღრევის ნიადაგზე დაეცა. ამ დაცემის აუცილებლობის წინ რუსული ბაბილონი ორჯერ იდგა, მაგრამ ორჯერვე მას გარემოებამ ხელი შეუწყო. ამ საშიშროების წინ ის დღეს მესამეთ სდვას და მას ველარაფერი იხსნის — ეს დროისა და მომენტის საკითხია.

ბოლშევიკებმა სხვა და სხვა რასის და სარწმუნოების დაპყრობილი ეთნიური ერთეულები 35 ნაწილად დაახარისხეს — მათგან ინწინად „ეროვნული პოლიტიკის“ 11-ს რესპუბლიკის სახელწოდება უბოძეს, ხოლო დანარჩენს კი ავტონომიურ რესპუბლიკათა „ხარისხი“. ეს იმ შინაარსის ფორმაა, რომელიც ბოლშევიკებმა მასში ჩასდეს და ველიკორუსულ მთლიენობას აგრე რიგად ესაჭიროება.

ეთნიურ ერთეულის განვითარება ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მოვლენებზე და პირობებზეა დამოკიდებული. ეთნიური წინასწორობის მყარებადობა კი დაფუძნებულია მის კულტურაზე, მოსახლეობასა და ტერიტორიაზე. ეთნიურ სხეულს, რომ ერთი რომელიმე მათგანი გამოაცალით ის უსათუოდ დაღუპვის გზაზედ დაემეება. ამ ხერხს ხშირად მიმართავდა დამპყრობი ერი. ან კიდევ მის გადაგვარებისა და დეგრადაციის მიზნით, მოსახლეობის ინტენსიურ შერევისა და კულტურულ შენაცვლებას აწარმოებდა. „თეთრი“ და „წითელი“ რუსეთი ყველა ამ ხერხს მიმართავდა უკლებლივ და მეთოდითრად და უხეშად ანხორციელებდა მის იმპერიაში მომწყვედვით ეთნიურ ერთეულების და დაპყრობილ ერების მიმართ. რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა ხშირად ზოოლოგიურ ნაციონალიზმის სახეს ლებულობდა. უახლოეს ისტორიაში ეთნიური შენაცვლების კლასიკური მაგალითი რუსებმა მოგვეცეს, როცა ჩერქეზების მკვიდრიმოსახლეობა აყარეს და მათი





საუკეთესო მიწა-წყალი თითონ დაიჭირეს. ნაწილობრივ იგივე ბედი ეწვიათ ბოლშევიკების დროს თერგისა და კუბანის ყაზახებს, რომელთა დიდი ნაწილი ციმბირსა და ცენტრალურ რუსეთში იქმნა გადასახლებული. რუსულ იმპერიალიზმსა და გაუმადლობას საზღვარი არასოდეს არა ჰქონია და არც ექნება, თუ ეს საზღვარი მას ძალითა და იძულებით სხვამ არ დაუდო. მართალია ქრისტიანულ რელიგიას უკვე ათი საუკუნეა ეზიარნენ, მაგრამ რუსის ხალხს ქრისტიანული კულტურისა და მორალის ამ ათი საუკუნის განმავლობაში არაფერი მოსცხებია და ის დღემდე ველურობით ანადგურებს ყოველივეს, თავის ტლანქსა და შეზარავ თათის ქვეშ.

დღევანდელ რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიური ერთეულები, წარსულ სახელმწიფოებრივ ისტორიისა და თავის სოციალურ და სულიერ კულტურის მიხედვით, შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ. პირველ კატეგორიას ისეთი ეთნიური ერთეულები უნდა მივაკუთვნოთ, რომელთა სულიერი და სოციალური კულტურა თავიდანვე განუვითარებელი იყო და თავის საკუთარ ისტორიულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მოკლებული. ამ ასეთი რამ თუ გააჩნდა, რუსეთის ხანგრძლივი ბატონობის გავლენით დაკარგეს და სრულ ამ ნაწილობრივ ასიმილაციის გზაზედ შედგნენ. მეორე კატეგორიაში შეგვიძლია მოვთავსოთ ისეთი ეროვნული ერთეულები, რომელთაც საკუთარი მაღალი და განვითარებული სოციალური სტრუქტურა, სულიერი და მატერიალური კულტურა ჰქონდათ, თავისი მდიდარ ისტორიულ სახელმწიფოებრივი წარსულით. ამ ერთა შორის რასიულ ინსტიქტმა, საკუთარმა ეროვნულმა კულტურამ და ხანგრძლივ სახელმწიფოებრივმა ტრადიციამ — მათ ეროვნულ ორგანიზმში — ერთგვარი იმუნიტეტის როლი ითამაშა და რუსულ დენაციონალურ პოლიტიკას არ ეზიარა. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ მიუხედავად დამპყრობ ძალთა ხანგრძლივ ბატონობისა, ჩვენში ეროვნულ და სულიერ კულტურის განვითარება მხოლოდ საგრძნობლად ბრკოლდებოდა, მაგრამ ჩვენი ერი დამპყრობი ძალის ეროვნულ და სულიერ კულტურის რელსებზედ არასოდეს არ გადადიოდა. ასეთ კატეგორიის ერთთავის გაცილებით მანვე შედეგები ბოლშევიკურ რუსეთის ბატონობას მოაქვს. მან სისხლით და ტერორით, დღემდე ისტორიაში არ ნახული, არა ბუნებრივი სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობა დამპყრობილ ერებსაც მოახეია თავზე და დოქტრინალურ გადამეტებით „ბოლშევიკურ“ სულიერ და სოციალურ კულტურის რელსებზედ „გადაიყვანა“. ძველი რუსეთის ბატონობა უფრო უცუდეს გავლენას პირველ კატეგორიის ეთნიურ ერთეულებზედ ახდენდა და მათი ასიმილაციის პროცესი ჩქარის ტემპით მიმდინარეობდა. ამას ხელს უწყობდა მათი განუვითარებელი სულიერი და სოციალური კულტურა. ვასულ საუკუნის მეორმოცე წლების მკვლევარმა და მოგზაურმა, კასტერნმა რუსეთში ტუნგუსების ენა ადგილობრივ, ურულგაში შეისწავლა. 70 წლის შემდეგ გაგზავნილმა მკვლევარმა აღმოაჩინა, რომ ურულგის (ბაიკალის იქითა მხარე) ტუნგუსებს მთლიანად დავიწყებოდათ სამშობლო ენა და





თავის საკუთარი სახელწოდებაც კი — ევენგის მაგივრად ისინი თავის თავს ხაზნაგებს უწოდებენო — ამბობს ფრ. მიულერი. ეს მოვიყვანეთ, როგორც რუსული დენაციონალური პოლიტიკის უბრალო, ცოცხალი მაგალითი. თუმცა ბევრს არ სწვევია ასეთი უბედური ბედი, მაგრამ არც დიდი მანძილით იყვნენ დაშორებულნი. დღეს ამ მხრივ, ბოლშევიკურ ბატონობის დროს, მათი ნებისა და სურვილის წინააღმდეგ სულ სხვა მოვლენას აქვს ადგილი, რომელიც რუსეთის „მთლიან“ ეროვნულ ორგანიზმის ერთ უდიდეს დაშლელ ფაქტორთაგანად უნდა ჩაითვალოს.

ბოლშევიკური ხელისუფლება მთლიანად პრობაგანდას ეყრდნობა და იქ სადაც მშვიდობიანი პრობაგანდა არა სჭრის, ტერორსა და შიშს მიმართავენ. ბოლშევიკური დოქტრინის გასაგრძელებლად, მარტო თავ აშეგებული ავტატორები როდი იყო საკმარისი, რუსულ წერა კითხვის უცოდინარ ეროვნულ ერთეულთა მასებში, ბოლშევიკურ იდეოლოგიის გავრცელების ერთ ერთ იარაღად ბექდვითი სიტყვა — პრესა და მწერლობა იქმნა მიჩნეული. ამას კი შედეგათ, ეროვნულ ერთეულთა მშობლიურ ენის დაკანონება და მასზედ აგებული ბოლშევიკური ცრუ „ეროვნული პოლიტიკა“ მოჰყვა. მარქსისტული სოციალიზმის განმტკიცების მიზნით, იძულებული იყვნენ ამ დათმობაზე წასულიყვნენ, დარწმუნებულნი რუსული ინტერესების უზრუნველყოფაში. აქა სწორედ ბოლშევიკებს „იადლიში“ რომ მოუხდათ და მათ უნებურად რუსეთის დაშლასა და დანაწილებას საფუძველი ჩაეყარა. ბოლშევიკებმა ყველა ეს მრავალრიცხოვანი ეთნიური ერთეულები თავის სამშობლო ენაზედ აალაპარაკეს, „ავტონომიურ“ და სხვა რესპუბლიკებად გამოაცხადეს და თავისი ქვეყნის საკუთარი „შვილები“, მაგრამ მოსკოვის ერთგული პატრიოტები მართველებად დაუყვნა. აქ ლინგვისტებსა და მწერლებს სამუშაო გაუჩნდათ — ენის, ორთოგრაფიის, მწერლობისა და სხვა სფეროებში. ყოველივე ამის დამუშავება, განსაკუთრებული შეკვეთის გამო, მარქსისტულ მსოფლმხედველობის საფუძვლებზედ უნდა მომხდარიყო. მიუხედავად ამისა ის მაინც ეროვნულ გავლენასა და ხასიათს ვერ ასცდა. ამ მხრივ ის ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს ეროვნულ სულიერ კულტურის განვითარებას. იქმნება ეროვნული შეგნება და მიდრეკილება, რაც რუსეთის იმპერიის დაშლის პროცესს აჩქარებს და არა პირიქით.

სამშობლო ენა, რომელზედაც ერი თავის აღზრდას ღებულობს, მჭიდროთაა დაკავშირებული მთელი ერის სულიერ გამოსახულებასა და მის სოციალურ კულტურასთან. ამიტომ ყოველ მპყრობელს უპირველეს ყოვლისა სამშობლო ენაზედ, მის სულიერ და სოციალურ კულტურაზედ მიაქვს იერიში. ეს იწვევს კულტურულ წონასწორობის დარღვევას და ერი ვადაგვარების გზას ადგება. რუსეთთან შეერთებამდე, საქართველოს ათეულ საუკუნოებში გამოვლილი, ცეცხლსა და სისხლში გამოქედილი თავის საკუთარი მაღალი ეროვნული კულტურა ჰქონდა. ამიტომ რუსეთის ერთი საუკუნის ბატონობამ მისი განვითარება დააბრკოლა, მაგრამ ჩვენი ეროვნული კულტურის წონასწორობა ვერ დაარღვია.

თუ კი წინათ თვითმპყრობელური რუსეთი ქართულ ეროვნულ სულსა და კულტურას თანდათანობით ღრღნიდა და ებრძოდა, ბოშევიკებმა თა ვისებური სიტლანჭით და ბარბაროსული გამბედაობით, ერთი ხელის დაკვირით და ერთბაშად მონღოლმეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ყოველ დარგსა და კუნჭულში შეჭრილიყვნენ. ამ მხრივ წითელ რუსეთის ბატონობას კულტურულ ვრებზედ გაცილებით უფრო დამღუპველი გავლენა აქვს ვიდრე ძველ რუსეთს ჰქონდა.

რუსეთის ტერიტორიაზედ მოქცეულ მაღალ კულტურის მქონე ეთნიურ ერთეულთა შორის, ვინც ველიკოროსებთან რასიულ და კულტურულ ნათესაობით არ იყვნენ დაკავშირებული, მეტი წინააღმდეგობის უნარი ჰქონდათ და კულტურულ შენაცვლებისათვის ცუდ ნიადაგს წარმოადგენდნენ. მასთან რასიულად და კულტურულად მონათესავე ერები კი თითქმის გადაგვარების გზას დაადგნენ. ამ მხრივ დღეს ისინი მთლად უნუგეშო მდგომარეობაში არ იმყოფებიან და საშუალება აქვთ თავის სამშობლო ენაზედ მწერლობა და წერა კითხვა მიინც აწარმოონ. ამ ერთა შორის თვალსაჩინო ადგილი, როგორც ტერიტორიით ისე მოსახლეობით უკრაინას უჭირავს, რომელიც ერთ უმდიდრეს ქვეყანათაგანს წარმოადგენს. მას დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობის ყოველი პირობათაგანი თან გააჩნდა. მაგრამ მათში საკმაოთ განვითარებული არ იყო საკუთარი ეროვნული სულიერი და სოციალური კულტურა, რაც ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ერთერთი საფუძველია. 1918 წელს მ. სეჩინსკის მიერ ვილსონისადმი წარდგენილ მემორანდუმში ნათქვამია: 30 მილიონი უკრაინელი ძლიერ განსხვავდება რუსებიანა და პოლონელებისაგანა“. აი, ამის მტკიცება დასჭირდა სეჩინსკის და ბერ უკრაინელ მამულიშვილს უცხოელების წინაშე. ეს კი შედეგი იყო იმ ძლიერ ველიკოროსულ გავლენის, რომელიც საუკუნოების განმავლობაში თანდათან იპყრობდა უკრაინის სულსა და კულტურას. დღეს მდგომარეობა იცვლება. ბოლშევიკურ რუსეთის თვითმპყრობელურ პოლიტიკამ სხვანაირი მსვლელობა და ხასიათი მიიღო. მათი ცრუ „ეროვნულ პოლიტიკის“ საშუალებით მას შესაძლებლობა მიეცა თავის საკუთარ სამშობლო ენაზედ მწერლობა განავითაროს, გაწერთანს და აღზარდოს თავისი ახალგაზრდობა სკოლებსა და უნივერსიტეტებში, რომელიც აევანგარდია მის ეროვნულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრების. დღეს უკვე 20—25 წლის უკრაინელმა რუსული აღარ იცის, ის უკრაინულ ენაზედ აზროვნობს, სწერს და კითხულობს, რაც მათში ეროვნულ მიდრეკილებას ჰქმნის და პატრიოტულ გრძნობას უნვითარებს. დანარჩენ რესპუბლიკებშიც ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი. ჩვენ გვგონია, რომ ეს ერთი უდიდესი ფაქტორიაგანია ამ ერთეულთა ეროვნულ ცხოვრებაში, რომელიც მათ ველიკოროსიასთან კი არ აკავშირებს არამედ აშორებს და ხელს უწყობს მათ ეროვნულ გათვითცნობიერებას. ეს ალბათ დღეს ბოლშევიკებმაც შეიგნეს „მშრომელთა სამშობლოს პატრიოტიზმის“ ლოზუნგს რომ თავი ამოაფარეს და „ბურჟუაზიულ-ნაციონალურ ელემენტების“ წმენდას შეუდგნენ. ის ეროვნულ ერო-

თეულების მიმართ, რუსულ პოლიტიკის ერთ-ერთი წინამძღვართაგანია ახალ შეტევის საწარმოებლად. მაგრამ დღესამ მიმართულებით განა შესაძლებელია მთელი 180 გრადუსით ამ საკითხის შეტრიალება? განსაკორტებით დღეს, როდესაც ის ერთის მხრივ საერთაშორისო გართულების წინ სდგას და მეორეს მხრივ კი ისედაც აჯანყებულ და უკმაყოფილო ხალხის წინაშე! ყოველივე ამას მომავალი დაგვანახებს. ხოლო დღეს ფაქტი და აშკარაა, რომ ამ მიმართულებით, ეროვნულ საკითხმა რუსეთის მთლიანობას ისეთი მუგუზალი შეუქცეთა, რომელიც მას ადრე თუ გვიან ეროვნულ ერთეუთა ცეცხლის რკალში მოაქცევს.

### 3. შუბლაძე



## „ახალი ადამიანი“

ბოლშევიზმის თეორეტიკოსების აზრით, მათი ბრძოლის მიზანია შექმნა ახალი პიროვნებისა, ახალი ადამიანისა, რომელიც გახდება ბერკეტი ახალი ცივილიზაციისა. ამ ახალ ადამიანს ბოლშევიზმი თავისებური „პედაგოგიური“ მეთოდებით აშენებს. ჩვენ გვინდა საკითხს სწორედ ამ მხრივ მიუდგეთ. არ არის ადვილი სისწორით განსაზღვრა ბოლშევიკური სულისა, რადგან უწინარეს ყოვლისა ის არ არის წმინდა სახით მოცემული. კ. მარქსის აზრით პროლეტარი, გაბოროტებული ადამიანია, შურის მაძიებელი და ძალდატანებისათვის მუდამ მზად მყოფი. სწორედ ასეთ სულიერ წყობის ადამიანს ამუშავებს ბოლშევიზმი. ბოლშევიკი გულკვა და სასტიკი ადამიანია, ღვარძლით და შურისძიებით სავსე. მისთვის უცნობა უანგარო და კეთილშობილ საქმეთა არსებობა. ბოროტება პროლეტარიატის ინტერესებისათვის ჩადენილი — სიკეთეა. ბოლშევიკი უარყოფს ეთიკურ შეფასებას ყველაფერში და მუდამ გაურბის მორალურ ცნებათა ხმარებას. მეტად საინტერესოა ამ მხრივ ბოლშევიკური ბელეტრისტიკა, რომლისთვისაც განრწმნილი ბავშვების თუ სხეულით მოვაჭრე დედის ცხოვრების აღწერა ერთგვარ კათეგორიულ იმპერატივს წარმოადგენს. ასეთ გარემოში მუშავდება შეუბრალებელი, გულ ცივი ტიპი, ზიზლით და შურით დამთვრალი. კეთილმომქმედ ამბავს ბოლშევიზმი მხოლოდ ძალაში ხედავს. საქირთა გამოიმუშავდეს ადამიანისაგან ისეთი მანქანა, რომელიც ყველაფერს გასრესს და გადათელავს. სინიდისის ქენჯანა რის მაქნისია, თვით მასზე ფიქრიც მებრძოლის შეურაწყოფაა. ამ ამბავში ბოლშევიზმი მორალურ დაავადებას პოულობს.

გლადკოვის ცნობილ რომანში („ენერგია“) გმირს, რასაკვირველია კომუნისტს, შეუყვარდება ქალი, რომლის მამაც მასა ჰყავს მოკლული. ეკი უხერხულად გრძნობს თავს შეყვარებულთან, მაგრამ უხერხულო-

ბიდან თვით ქალი დაიხსნის. ის ანუგეშებს მამის მკვლელს- მისი აზრით ვაფი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო და ამიტომ შესაწუხებელიც არაფერია. ვინმე ქართველი პოეტი, უღირსი შვილი ჩვენი ქვეყნისა უფრო შორს მიდის: — „დედას დაეახრჩობ, მამას თავს მოგჭრი, თუ მიკარნახებს რევოლუცია“ო. იტყვიან: ლიტერატურული სიყალბეა! შეიძლება. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნათ, რომ ასეთი სულიერი სტრუქტურის ადამიანია ბოლშევიზმის მიზანი და საყურადღებოც ეს არის. ვინმე ლევანის მოთხრობაში („ორი ამხანაგი“) მოსწავლე ახალგაზრდა ჰკლავს წიგნის მალაზიის პატრონს. ის „დაჭერილია“. მისი მეგობარი მას იმით ანუგეშებს, რომ მოკლული არის ბურჟუა. საინტერესოა, რომ ავტორის გმირს სრულებით არ სტანჯავს ეს შემთხვევა. სისხლი დამატკბობელია ბოლშევიკისათვის, მისი წყურვილის მომკვლელი.

ცხადია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთგვარ მორალურ ვარჯიშობასთან, თავისებურ ბოროტების პათოსთან, რომელიც რაღაც ჯადოქარის, მარქსისტულ დიალექტიკის მეშვეობით ბოლშევიკურ სიკეთეში გადადის- მარქსის მორალიზმი დემონურ ხასიათს ატარებს. მარქსისათვის ბოროტება ერთად-ერთი გზაა სიკეთისაკენ მიმავალი. ძმობა, ერთობა, ადამიანთა თანასწორობა — სიძულვილისაგან, ბოროტებისაგან იბადებიან, თავისუფლება კი იძულება - ძალდატანებისაგან. მარქსის გაგებით ბოროტება დიალექტიკურად გადადის სიკეთეში, სიბნელე სინათლეში და სხვ. ბოლშევიკურ რომანებში სიტყვა -ბოროტ- პოზიტიურ მომენტად არის მიჩნეული. ის სინონიმი ძლიერების.

ბოლშევიზმი ბოროტი ძალაა. ალბათ იმიტომ რომ გრძნობს შინაგან სისუსტეს. ბოლშევიკი მუდამ პირქუში მოღუშულია, თითქოს მას ვერაფერი გაახარებს. მე-20 საუკუნის დასაწყისში ბოლშევიზმის სულიერი წინამძღვარნი გოკი და არციბაშევი სიამოვნებით ხატავდნენ ნიცშეს მხეციის ლამაზსა და მხიარულ სიმკაცრეს. თანამედროვე ბოლშევიზმი კი პირიქით, გაურბის სილამაზეს. ბოლშევიკს ბუნების წიაღის სიმშვენიერეში უოფნა აღონებს, ამწვანებულ მინდორ ველს ქარხნის მტვერი და ქვარტლი ურჩევნია.

ბოლშევიზმმა დღემდე არ იცის რა მოუხერხოს სიყვარულს. ნათელია ერთი: ის მას ვერ მიიღებს. სიყვარულის მიღება, მისი საძირკველის შერყევაა, რადგან სიყვარული ქალისადმი, ხელოვნებისადმი, ადამიანისადმი, თუ ქეშმარიტებისადმი ასათუთებს ადამიანს, ასუსტებს ბოლშევიკის ხასიათს, უკარგავს მას სიმკაცრეს და შეუბრალებლობის გრძნობა. ამხანაგობა, ძმობა, ოდესღაც აერთიანებდა ბოლშევიკებს, მაგრამ უკვე დიდი ხანია ამ ცნებებს დაკარგული აქვთ მორალური მნიშვნელობა. ეხლა ყველამ უწყის, თუ როგორ მართვენ კომუნისტურ პარტიას, რომლის არსებობა დამოკიდებულია არა მის წევრთა ურთიერთ პატივისცემაზედ, არამედ ერთმანეთის დასმენაზე და ჯაშუშობაზედ. ყოველი წევრის ცოდვათა თუ ხასიათის სუსტ მხარეთა დოსიეს არსებობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. დიქტატორისათვის უმჯობესია წამხდართან, ცოდვილთან ჰქონდეს საქმე, ვიდრე მორალურ პიროვნებას-

თან. საჭიროა დაამცირო, დასვარო რაც შეიძლება მეტი წვერი პარტიისა, რათა წინააღმდეგობის გაწევა ველარაინ გაბედოს. ასეთი მორალური „სტრატეგიით“ უნდა აიხსნას ის საკვირველი ამბავი, რომ გუშინდელი პროლეტარიატის ჭირისუფალნი დღეს მოლაღატეებათ გამოჰყავთ და ხვრეტენ. ბოლშევიზმის შემომქმედთ ბოლშევიზმი უღებს ბოლოს. ამ პირობებში მუშავდება მონური სული (სერგილიზმი), ზიზლისა და შურისძიების ფსიქოლოგია. ეს არის ფსიქოლოგია დაცემის და დაცინების. ამიტომ ბუნებრივად ისმება საკითხი: შეიძლება თუ არა ასეთ სულიერ გარემოცვაში აღმოცენდეს ახალი ადამიანი და უკეთესი საზოგადოება? პასუხის გაცემა ძნელი არ უნდა იყვეს. ბოლშევიზმი არის სოციალური პათოლოგია. მის მიერ „შექმნილი“ ადამიანი ფსიქო-პათოლოგიური ტიპია, რომლისგანაც განდევნილია ადამიანის პიროვნების თავისებურება, ინდივიდუალობა, განუკვეთელობა და ირაციონალობა — საწინდარი წინსვლისა და ცივილიზაციის.

როდესაც რომელიმე სარდალს სულას მიჰგვარეს მონა, რომელმაც ხუნდების დადებისას წინააღმდეგობა გასწია, სულამ ბრძანა: „აუშვით, მასში თავისუფლების სული ზისო!“. ადამიანის პიროვნების ეს თავისუფლების „სული“ საბოლოოვ ანგარიშში მუდამ სძლევს ფიზიკური ძალის ისეთ კრეტინიზმს, როგორცაა ბოლშევიზმი.

შ. კალანდაძე



## საზღვრებზე და არა საზღვრებზე

ბ. ბამატს პოლიტიკოსისა და ჟურნალისტის სახელი ალბათ იმიტომ გაუვარდა, რომ მის წერილებს გულდასმით არავე კითხულობს. ათასი მისი სიტყვა გულის ამრევია, ამ აბდა-უბდის ავტორს ყურადღებას არავენ მიაქცევდა, რომ ყალბი საქმისა და სიტყვის დიდი ჭარიშხალი არ დაეყენებინა. ბ-ნ ბამატს ჭართველებისათვის რაღაც „წამალი“ მოუფანია და დოინჯ შემოყრილი გვიტევს: ნება არა გაქვთ არ დამიჯეროთ, ალაპის მადლმა, ცუდ გუნებაზე დავდგები თუ ჩემი წამალის მიღება არ ინდომეთო.

რუსული „კავკაზი“ის წარსული წლის დეკემბრის ნომერში მოთავსებულია ბამატის მეთაური „ვიდე კავკასიის საზღვრებზე“. იწყება იგი ისე პრეტენციოზულად, რომ მკითხველს უნებლიედ გაეცინება: „უგუნებოდ, ფრად უგუნებოდ უბრუნდები ამ უმადურ თემას“ აცხადებს იგი. გეგონებათ ეს საკითხი მისთვის შეორეხარისხოვანი რამ ყოფილაო. წერილის კითხვის დროს კი აღმოჩნდება, რომ ბამატისათვის ეს საკითხი მთავარი და პირველხარისხოვანი ყოფილა. ბამატი სწუხს, რომ ჩვენ აპრიორი არა ვღებულობთ რაც მანა ბრძანა და რასაც აწ გვიბრძანებს. ჭ-

რთველი ემიგრაცია მას აღარ ასვენებს, კავკასიის ამ ამომავალ მზეს, მს-სნელსა და ბელადს! ამიტომ ის იძულებული ხდება მოიცალოს ისეთ წვ-რილმანებისათვის, როგორცაა ტერიტორიაზე და საზღვრებზე ლაპარაკი. „ძველია და საშიში ჩაგრულ ერისათვის საზღვრების საკითხიო“ სანტენციოზურად აცხადებს ბამატი. ვასაკვირია მისი ამდენი მიხვედრილობა. მას უფრო უხდება საზღვრების ჯანდარის როლი. ბარემ გვითხ-რას: რათ გინდათ ქართველობა, ჩინი და მენდლები შეიძინეთო დიად, ქართველს ქართველობა აღარ ექნება თუ ბამატის ანკესზე წამოვეგო.

ბამატი პლანეტარული მასშტაბით ხსნის მოვლენებს. არც მეტი, არც ნაკლები. როგორც თვითონ აღიარებს ასეთი ლაპარაკი მას ახლა ხან შე-უსწავლია. საქმე ის არის, რომ განგებამ ბ. ბამატი დასვა მოწმედ იმ დი-დი გარდატეხებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში და საერთოდ კავკასიაში მოხდა. კიდევ მეტი. ბამატი ცდილობს დაესწროს იმ დრამასაც, რომე-ლიც მომავალში უნდა დატრიალდეს.

ღმერთმა ნუ მოასწროს ბამატს, რომ ერთი და იგივე თაობის პირნი ყო ფილიყვნენ მთლიანად ამ ორ დრამაში მომქმედ პირებად. ერთხელ და-მარცხებული მგორედ ვერ მოგვატყუებენ. მაგრამ ბამატივით ლეკები ჩენში არც დამარცხებულებში სჭერია და არც სხვაგან.

ეს დევრიში პოლიტიკოსი, მეცნიერიცა ყოფილა. მოდისა და არა მო-დის სიტყვები: გეო-პოლიტიკა, გეოგრაფია, ეკონომიკა, ეტნოგრაფია და ისტორია, ყველა ესენი ერთბაშად მოგვეყარა იმის სათქმელად, რომ კავკასია სახელმწიფოდ გამოდგება და საამისოდ „კონკრეტიული შან-სებიც“ აქვსო (ხაზი ბამატისაა). კავკასია „ბუფერი“ ან „ტრედ-უნიონ-ნი“ (ალაჰმა უწყის რას ნიშნავს ეს, ან რა ენაზედაა დაწერილი!). ასე უნდა იყოსო ერთის მხრივ ირანსა და ოსმალეთის და მეორეს მხრივ რუ-სეთს შორის. ამ აღდგომის კითხვის დროს ყოველ ქართველს უნებლიედ გაუელვებს კითხვა: ირანი და ოსმალეთი თუ არიან ჩვენი თაობაზედ ერ თმანეთში მორიგებული? თუ ბამატს ჩვენი განახლება უბედურების ეზა ზე და ესიზმრება. ბამატი ბრძანებს, რომ „კავკასიელ პოლიტიკურ მო-ღვაწეთა პოლიტიკური მისწრაფებანი“ და სულის ნამდვილი განწყობი-ლება“ მიმართულია იქითკენ, რომ „ოსმალეთსა და ირანს საზღვრებზე ედავონ.“ მეტიც: ერთ-ერთი მოკავშირე ამ „პოლიტიკურ ბრძოლაში“ „გოლენს-ნოლენს“ ყოფილა ჩრდილოეთი, ე. ი. ჩვენებურ ენაზე რომ გადმოვიტანოთ — რუსეთი. რისი თქმა სურს ბამატს? აშკარაა — ქარ-თველობა დღეს რუსეთს უდგებართ გვრდში და მას ამაგრებთო. ასე ხომ ბოლშევიკებიც უმტკიცებენ ქვეყნიერებას, ეს ხომ მათი თეზაა! ბამატმა უნდა გაიგოს ერთი რამ: ანაირი პროვოკაციით გამოსვლა თუ მასავით მისიონერებით თავმოებურებულ ხალხს არ არგებს, ეს არ არგებს არც ბამატს. ან ვისთან გვასმენს? ჩვენ არც რუსეთი გვინდა ჩვენს ქვეყანაში საბატონოდ, არც ოსმალეთი, არც ირანი, და არც სხვა ვინმე. ნუ თუ მა-ინც და მაინც მთელი ჩვენი სიცოცხლე ამ პატრიოტული ანაბანის ყვი-რილში უნდა გავატაროთ! თუ ბამატს სურს შუღლი და მძულვარება გაა დღევოს კავკასიის ერებს შორის, რომ თავის იქს-პატრონს საშვალება



მისცეს მღვრიე წყალში თევზების ჭერისა, მისი ვარაუდი თავიდანვე განწირულია. ბამატის მიკიბულ მოკიბული ნათქვამის თანახმად, კავკასიაში, გარდა აზერბეიჯანისა და მთისა ყველა რუსეთის მომხრეა და ამიტომ ჩვენ, ე. ი. აზერბეიჯანელები და მთიულები, ოსმალეთის მომხრე უნდა ვიყოთო. თუ პირველი დებულება უსიციხვილო სიყალბეა, მეორე: უტიფარი გულწრფელობაა ამ ადამიანის თავის ქვეყნისადმი მოლაღატობაში.

ბამატს სურს, რომ კავკასია რუსეთ ოსმალეთ ირანს შორის ბრძოლის არენა გახდეს და ჩვენს დროშიც სისხლის წვიმები მოვიდეს. ბამატს რა ეკარგება თუ ამით კავკასიის ერები დაზარალდებიან. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ დღეს ოსმალეთი და ირანი თავიანთი განვითარების ისეთ საფეხურზე არიან, რომ ბამატის ტიპის ავანტიურისტები დიდი ხანია მოინლეეს. ბამატი პირად მაგალითზე მიგვითითებს: მეცა მაქვს საღაო ჩრდილოეთის საზღვრები, მაგრამ ხომ ხედავთ ყუბანელებს მოურიგდი, მართალია დღეს ამ შეთანხმებას ყაველი აღარ აქვს, მაგრამ „ჩვენ არ ვეჭვობთ რომ ახალ პირობებში ჩვენი ხალხები დაუბრუნდებიან ამ ხელშეკრულებასო“. ბამატს უთუოდ ჰგონია რომ ძალიან დელიკატურად მსჯელობს და ვერ ამჩნევს, რომ წინააღმდეგობათა ქსელში ფართხალობს ყუბანელებთან მორიგება შესაძლებელია, ოსმალეთთან მორიგება კი არ შეიძლებაო. მოდიოთ და გაიგეთ ან ამ კაცის ლოლიკა, ან მისი ზრახვები. თანაც უმატებს: „ჩვენს მიერ საკითხის დასმაში ეკვივოცებისათვის ადგილი არ არისო“. დალოცვილმა რა იცის თუ რა სიმართლეს ლაპარაკობს. ჩვენ რუსეთთან მოვრიგდებით, თქვენ კი ირანსა და ოსმალეთს არ უნდა აწყენინოთო. ჩვენ რომ ჩვენის მხრივ ასე შეუბრუნოთ საკითხი ბამატს? განა ქართველებს ბამატზე ნაკლებათ შეუძლიათ სხვებთან მორიგება? არა, ერთობ კავკასიისათვის იქნება უმჯობესი ბამატებმა ჩელი აიღონ ქართველებისათვის სამარის გათხრის ტრადიციაზე თორემ ქართველობამ თავის დაცვა ცოტა უკეთ იცის, ვიდრე ბამატსა ჰგონია.

ის ზოგიერთი ქართველი, რომელთა რიცხვში ერთი არქივის მცოდნე დიპლომატიც იმყოფება ბ. ბამატს უნდა იმისათვის, რომ ყოველ წამს გაახსენოს, თუ როგორი კაცების ხელქვეითობის მოპოება შეიძლება ტყუილითა და ზოგიერთი რამეებით. ის რომ ვიწრო ჰორიზონტის ადამიანი არ იყოს — ყველ ნაბიჯზე შეხედებოდა ამ უბრალო ემიგრანტულ ყოფა-ცხოვრების მაგალითებს. მაგრამ ბამატი მაკიაველობს. აკი ბ. ემუხვარსაც დააკარგინა თავისი თავის, თავის აფხაზობის და ქართველობის პატივისცემა.

დასასრულს, ბამატს უნდა მოვახსენოთ, რომ ქართველები მის პროვოკაციაზე არ ვეგებით და ჩვენი მომავლის თაობაზე სრულიად დამშვიდებული ვართ. ჩვენ კარვად ვიციოთ, რომ ათა თურქი, რომელმაც ირანისა და თურანის მტრობა აღმოფხრა, უფრო ადვილად შეიძლებს საქართველოსთან მეგობრული ენის მონახვას. ამას იზამს არა მაჰმადის ხმალით, როგორც ოცნებობს სულით და გულით ოსმალთ, კუმიკი ბამატი არამედ სამართლიანობის გზითა და საერთაშორისო უფლების დაცვით.





დღეს ჩვენს წინაშე ჩრდილოეთის საზღვრების საკითხი სდგას, ჩვენ ვებრძვით ჩრდილოეთის სლავიანურ სტიქიას და არა სამხრეთს. ამ ბრძოლაში სამხრეთის მეზობლებს, მათი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჩვენს მოკავშირედ ხდის. ეს კარგათ ესმით სადაც ჯერ არსამას აშკარად ხედავს ჩრდილოეთიც. ამიტომ რუსეთი მუდამ ცდილობდა სამხრეთის მეზობლებთან ჩვენი ურთიერთობა გაემწვავებინა და ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების სოლიდარობა დაერღვია. არ უნდა გავვიკვირდეს, რომ ამ მიზნით მომუშავე ბამატიც ჩრდილოეთიდან მოდის.

გრ. ნადარეიშვილი



## საბჭოთა ტერორი

სამხედრო კომუნისმის ხანაში, ე. ი. რევოლუციის პირველ პერიოდში, ბოლშევიკები მსოფლიოში კომუნისმის დასამყარებლად და ახალი ადამიანის შესაქმნელად, განუკითხავად ხოცავდნენ ბრალიანსა და უბრალოს. მაშინ ამას თავისებური ახსნა ჰქონდა, მაგრამ დღეს, რევოლუციის ოცი წლის თავზე, როდესაც მათივე თქმით ამ ქვეყნიური სამოთხე უკვე დამყარებულია — დღევანდელი ტერორი პირვანდელი მოტივებით ველარ აიხსნება.

დასაწყისში ტერორის მიზანი იყო მოესპო მოწინააღმდეგე — ფიზიკურად გაენადგურებინა კლასიური და იდეური მოწინააღმდეგე; შემდეგი ტერორი, გამოწვეული იძულებითი კოლექტივიზაციის ჩატარებით — ეხებოდა განსაკუთრებულ სოციალურ ფენას, გლეხობასა და წვრილ მესაკუთრეთ. დღეს კი არჩევანიც აღარ არსებობს. იხვრიტებიან განურჩევლად სქესისა, წლოვანებისა და სოციალური მდგომარეობისა.

აქ საქმე გვაქვს ისტორიულ აუცილებლობასთან.

საფრანგეთის რევოლუციის ბედი გილიოტინით დასრულდა.

რუსეთის რევოლუციაც თავის შემოდგომას განიცდის. დღეს იბრძვიან არა რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის, არამედ თუ ვინ იქნება რუსეთის რევოლუციის რობესპიერი. ჯერ-ჯერობით ამ როლში სტალინი გამოდის. იგი ვაფთრებით იცავს თავის ბატონობას.

ამით აიხსნება, რომ ერთნაირის განუკითხაობით (ხვრიტებიან ერთ დროს სტალინის მორჩილი მარშლები, რევოლუციის გუშინდელი მეთაურები, ძველი კადრის ბოლშევიკები, სტალინის გემოვნებაზე აღზრდილი კომუნისტები და კავშირში შემავალ პატარა ერთა პატრიოტები.

საქართველოში ამ დახვრეტებმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღეს და კომუნისტ ბ. მდივანის გვერდით იხვრიტებიან პროფ. გ. ელიავა, მ. ჯავახიშვილი, პროფ. ჯანდიერი, პოეტი ტიციან ტაბიძე, ს. დევდარიანი და სხვები, რომელთაც პოლიტიკურად ერთმანეთთან არაფერი აერო

თებდათ. ყველანი ერთ კატეგორიაში მოქცეულნი, გამოცხადებული არიან „ფაშიზმის აგენტ ტროცკისტებად“

ამ არეულ და უთავბოლო „სამოთხეს“ ტ. ტაბიძემ დროზე აუღო აღლო და ამ ათი წლის წინად სთქვა:

„არ გამოცვლილა ზომ პოეზია, მუზეები ცისკრის კარებს აღებენ,  
„მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც მალე სადმე ჩავვაძაღ-  
ლებენ.“

მართლაც, გაბოროტებული დიქტატორის ხელები მას დედა-ქალაქში წამოეწია. ტიცინანის წინაგრძნობა, წინასწარმეტყველება გამოდგა.

ამ შეუბრალებელი ხოცვით სტალინმა შესაძლებელია მიზანს მიაღწიოს და რუსულ რევოლუციის რობესპიერობა დაიმკვიდროს, მაგრამ არც ის უნდა დაიფიქვოს, რომ რობესპიერის ჯგერიც დადგება.

სისხლ მოწყურებულმა რომის იმპერატორმა კალიგულამ სთქვა:

„მე მინდა, რომს ჰქონდეს თავი რომ შემემლოს მასაც მოვკვეთო!“

აი სახელმძღვანელო პრინციპი მოსკოვის წითელი დიქტატორისა.

ვახ. ბარკალაია,



## ნაციონალიზმისაკენ

მთელ მსოფლიოში ორი ძალაა ერთმანეთს დაპირისპირებული — ნაციონალიზმი და სოციალიზმი. პირველი ყოველ ერში სხვა და სხვა სახით არის გამოხატული, მაგრამ ყველგან უმაღლეს ზნეობრივ საფეხურზე აყვანილი და ეროვნულ ინტერესებს შეხამებული. მეორე კი, ყველასათვის ცნობილია, როგორც ეროვნულ ინტერესთა დამრღვევ-დამშლელი და საზოგადოების ზნეობრივად გამხრწნელი მოძღვრება. ამ მიმართულებაზედ მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეს, მეცნიერ-ეკონომისტებს და ფილოსოფოსებს უთქვამთ და დაუწყობიათ, ყველასათვის გაუცენიათ მისი მახინჯი სახე და ცხოვრებაში გატარების შეუძლებლობა. ამიტომ აქ მის ცუდ გავლენაზე აღარაფერს ვიტყვოდით, რომ ამ დამღუპველი იდეით გაქვითილი და მისი მატარებელი ჩვენი ემიგრაციის ერთი ნაწილიც არ იყვის.

სოცალიზმის მთავარი მიზანი ადამიანთა სრული თანასწორობა არის, როგორც ეკონომიურ ისე სულიერ სფეროში, ამისათვის კი საჭიროა ადამიანის ფიზიკურ და გონებრივი თანატოლობის არსებობა, რაც ყოველად შეუძლებელი არის, რადგან ცხოვრებაში მუდამ ყოფილა და იქნება: ჭკვიანი და უჭკუო, მეტ აზრიანი და ნაკლებ აზრიანი, მეტი მოხერხების და ნაკლები მოხერხების კაცი, მეტისა და ნაკლები ღირებულების შემქმნელი, მაღალი და დაბალიც, ე. ი. სხვა და სხვაობა ბუნების ურყევი კანონია და მას ვერავითარი ადამიანური ძალა და სურვილები

ვერ გარდაქმნის. ხოლო ამ ძირითად დებულების (თანასწორობის) სიყალბე ძირშივე სპობს მის ზედ ნაშენ დებულებათა ვარგისიანობის შეცდამებლობას.

განათლებულ ერთა მუშათა ნაწილმაც უკვე შეიგნო, რომ სახელმწიფო ერთი მთლიანი ოჯახია, სადაც ყველას თავის უფლება და მოვალეობა აქვს. საჭიროა და აუცილებელიც არსებობდეს მუშაცა და პატრონიც, ინტელიგენტიც და მოხელეც, ვაჭარიც და საზოგადო მოღვაწეც. ხოლო მათი სპეციფიური ინტერესების დაცვა, და მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფა საკითხია სოციალური და არა სოციალისტური, რომლის მოსაგვარებლად მოწოდებულია ქვეყნის ხელმძღვანელობა, სახელმწიფოს მეთაურობა. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ყველაფერი ცვალებადია და გასულ საუკუნეში მიღებული აზრი — როგორც მუშათა, ისე სხვა საზოგადოებრივ საკითხებზე — დღეს უკვე მოძველებულია. ხოლო ეს ცვალებადობა იმდენად არის მისაღები და ცხოვრებაშიც ადვილად გასატარებელი, რამდენათაც იგი ბუნებრივადაა წარმოშობილი.

საერთოდ პროლეტარათა რიცხვში უნდა ვიგულისხმოთ ის ადამიანები, რომელთაც არავითარი საკუთრება არ გააჩნიათ და რომელთა არსებობა დმოკიდებულია საკუთარ მარჯვენაზე და მებატრონეებზე. ასეთები ჩვენ ძალიან ცოტა და უმნიშვნელო პროცენტი გვყავს. ესეც არ იქნება თუ ქართველ მუშებს ექნებათ სურვილი იქონიონ საკუთრება.

საქართველო ისეთი მდიდარი ქვეყანაა, რომ ყოველ ქართველს, თუკი შრომის მოყვარეობა ექნება, შეუძლიან იყვეს არა თუ მესაკუთრე არამედ საქმაოდ შეძლებული მებატრონიც. ერთ დროს ჩვენი ქვეყანა იტყვდა რვა მილიონამდე მცხოვრებს და მაშინ ჩვენი ხალხი სხვებთან შედარებით არც ლატაკი იყო. დღეს ეს რიცხვი სამ მილიონზედ არის დაყვანილი. მაშასადამე თავისუფალი მიწებიც ბევრი გვაქვს. ავიღოთ მაგალითისათვის მთელი ახალციხე ახალქალაქის და ბორჩალოს რაიონები, ყარაიასი და ბოლოს შირაქისა და ივრის თვალუწვდენელი მიწები. მთელი ეს ადგილები დაუმუშავებლად და უპატრონოდ არის მიტოვებული, იმ დროს როცა ევროპაში არც ერთი მტკაველი მიწა არ არის უსარგებლოდ დატოვებული. ამ მხრივ სხვებთან შედარებით ჩვენ დიდი უპირატესობა გვაქვს და უნდა მოვიზნაროთ კიდევ.

ამდენ მიწებს შეუძლიანთ დააკმაყოფილონ მილიონობით მცხოვრებნი. ქართველი მუშაცა და ინტელიგენტიც — ყველა შეიძლება იყოს მესაკუთრე და მიწის საკითხიც სასურველად გადაწყდება. გარდა ამისა თუ საქართველოს რომელიმე კუთხე მიწის სიმცირეს განიცდის, მათი ამ განაპირა ადგილებში გადასახლებით ხალხს ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება და ამ რაიონებში ქართული ელემენტის გამრავლებით ერთგვარი ეროვნული საქმეც ვაკეთდება. ამრიგად, ყველა ქართველს შეუძლია იყოს მესაკუთრე და საქართველო ამ საკითხის სიმწვავეს ისე არ განიცდის, რომ ამის გამო ძმათა (კლასთა) შორის სისხლი დაიღვაროს. მაგრამ ამ ეკონომიურ მატერიალურ მხარეს რომ თავი დავანებოთ,



თვით ქართული ფსიქოლოგიაც ვერ იტანს მარქსისტულ დებულებებს. სტალინმა ათასი ცდები მოახდინა, სამოთხის დამყარება სურდა, მაგრამ რამდენნაირი ცდაც არ მოახდინა „სოციალისტური საუნჯის“ განაღდებისათვის, ყველგან და ყოველთვის ქართველმა ხალხმა აჯანყებით უპასუხა. სტალინი ყველგან დამარცხდა. ხალხს, რომელთაც არ ჰქონდათ უფლება თავიანთი სურვილისამებრ ეშრომათ და გამდიდრებულიყვნენ დაყარეს იარაღი და შრომობდნენ იმდენს, რამდენიც მათ კუჭს დაუკმაყოფილებდა. ეს კი სახელმწიფოს მიაქანებდა გაჭირვება გადატაკებისაკენ. სწორედ ეს იყო და არის მიზეზი საბჭოთა „სამოთხეში“ მუდმივი შიმშილობისა. შეწინებულ დიქტატორი იძულებულია რაიმე ახალი ხერხი მოიგონოს. ამ მიზნით შემოიღო შრომაში შევიდრება, დააარსა ორდენები. შექმნა კოლექტივები, წარმოშვა სტახანოვური წოდება. ორდენების მიღების სურვილით ამოძრავებულებმა მთელი ფიზიკური ძალ-ღონე შეაღიეს სამუშაოს და ბოლოს მიზანსაც მიაღწიეს, მიიღეს ორდენები, კრემლშიც წაიყვანეს, სტალინიც ნახეს და ამნაირად შეჰქმნეს „საამური ცხოვრება“. დაუშვათ, რომ „საამური“, მაგრამ ეს არ არის სოციალისტური — დღეში 7 საათის მუშაობით შექმნილი, არამედ დღე და ღამის გასწორებით. განა ამას აცხია რამე სოციალისტური? ან საზოგადოების როგორი პროცენტია ასეთ მდგომარეობაში? არა, ეს ახლად წარმოშობილი და გამდიდრებული წოდება სულ მცირე ნაწილს წარმოადგენს დანარჩენი ნაწილი მოსახლეობისა კი გადატაკებულ დამშეულ და ყოველ მხრიდან დაშინებული ბრბოა; მათ არამც თუ არაფერი გააჩნიათ, არამედ რაც ძველად ჰქონდათ, გაჭირვებისაგან ისიც თავზე ენგრევათ. მათი უკანასკნელი წყარო არსებობისა — მიწებიც კი გამოაცალეს ხელიდან. სტალინმა, ამნაირად, კლასები ვერ მოსპო. ცხოვრებაში მან მოსპო ვაჭრები, როგორც ვითომ მატყუარა და ხალხის მცარცველნი, მაგრამ მან შექმნა კოაპერატივები და მოსამსახურეთა მთელი რიგი ვაჭრებზედ ათასჯერ უფრო მატყუარა მძარცველები აღმოჩნდნენ. მან მოსპო კულაკები, სამაგიეროთ მან წარმოშვა ახალი შეძლებულთა კლასი — სტახანოვური და შრომაში მოჯიბრე გუნდები, (კოლექტივები) საზოგადოების მცირე ნაწილი, მაგრამ მაინც მდიდართა კლასი. აი, რა მოსდევს მარქსისტულ ექსპერიმენტებს, იგი მაინც ვერ სცილდება ბუნების კანონს — კლასების გათანასწორებას ვერ ახერხებს.

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების ასეთი ჯოჯოხეთური პირობების და უთანასწორობის დამყარებისა, სტალინმა, 1937 წელს მაინც გამოაცხადა დიდი ზეიმით, რომ სოციალიზმი უკვე დაამყარა და ეხლა კომუნისმის დამყარებაზედ გადადიან. თუ ის ასეთ ჯოჯოხეთის დამყარებას სოციალიზმს უწოდებს, ადვილი წარმოსადგენია რაღა იქნება კომუნისმი!

ჩვენი მარქსისტების ლოზუნგი და მიზანიც იგივეა, რაც კომუნისტების, მაგრამ ამათ სხვანაირი გზით და სხვა მეთოდებით სურთ ამ მიზნის განხორციელება. საქართველოს კი სავსებით შობეზრდა ეს ყოვე-

ლად აბეზარი, ჩვენი ხალხისათვის სრულიად უსარგებლო ლოზუნგის ყოველ დღე ყვირილი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“. გაიგეს რა ხილიც არის სოციალიზმი. ზედმეტი იმის მტკიცება, რომ შესაძლებელია მარქსიზმის შეთავსება ქართულ სინამდვილესთან. საქართველოს აღარ უნდა ეს. „არ უნდა მარქსის შაქარი, არა სურს მისთვის მწარეა“.

ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ერთი გზა — დაუკვირდეთ ცხოვრების სინამდვილეს საერთოდ, და მით უმეტეს ჩვენი ერისას, მომავალი საქართველოს პოლიტიკური წყობილების სახე უნდა ეგუებოდეს საქართველოს ბუნებას, მის ზნეობას და ისტორიას, ის თუ ეროვნულ ტრადიციე ბზედ არ დაშენდა — თავისუფალიც რომ იყვეს — მაინც წამებული იქნება. ერის ინტერესების საუკეთესო გამომხატველად მხოლოდ ნაციონალიზმი ითვლება. ჩვენც უნდა გავყვეთ ამ ისტორიული ტრადიციის გზას

“უ

ი. ბეგიაშვილი



## ბანცხადება

იანიჩრების ჟურნალის იანერის ნომერში მოთავსებულია ბ-ნ ელ. ვაჩნაძეს წერილი. ამ წერილის ინსპირატორს შ. ამირეჯიბს ძალიან ესიამოვნებოდა, რომ ჩვენი ეროვნული გმირის თანამებრძოლებთან დავა დაგვეწყო და ურთიერთობა გაგვემწვავებინა, მაგრამ ეს განზრახვა მიზანს ვერ მიაღწევს.

ჩვენი პატივცემული მკითხველისათვის კი საჭიროდ მიგვაჩნია დავასახელოთ ზოგიერთი ფაქტები, რომელნიც ნათელყოფენ ამირეჯიბის ინსინუაციის სიყალბეს:

1. — ცაგურისა წიგნაკის არსებობა ჩვენ გავიგეთ, როდესაც „ახალი ივერია“ №8 უკვე დაბეჭდილი და დარიგებული იყო. ამის მოწმედ ვასახელებთ თვით ბ-ნ ელიზბარ ვაჩნაძეს და მის მეგობარს შეფიცულ რაფო ერისთავს: — ქართული კოლონიის მიერ გამართულ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებაზე, სადაც ჩვენი ჟურნალი უკვე იყიდებოდა, ამ წიგნაკის დაახლოებითი შინაარსი გვიამბო ელიზბარ ვაჩნაძის თანადასწრებით ბ-ნ რაფო ერისთავმა როცა მან ცაგურისა მიერ ნახმარი ერთი რუსული გამოთქმა ველარ მოიგონა, თვით ბატონ ელიზბარ ვაჩნაძემ მოაგონა: „ჩუჩილა“ სწერიაო.

2. — როდესაც ბ-ნ ელიზბარ ვაჩნაძეს „ახალი ივერია“ №8 მიუტანეს, მასთან ბრძანდებოდა ბ-ნი სამსონ ყრუაშვილი, რომლის თანადასწრებით ბ-ნი ე. ვაჩნაძე შეგვპირდა, რომ ცაგურისა წიგნაკს გვიშოვნიდა, რათა ჩვენც წავგვეკითხა.

აქედან აშკარაა, რომ ამირეჯიბის დებულება: — თითქოს ჩვენ ვი-  
ცნობდით ცაგურისა წიგნაკს და ქაქუცას დასაცავად არაფერი ვსთქვით  
— აშკარა სიყალბე და უპატიოსნო ცილისწამებაა.

რაც შეეხება „ახალი ივერია“ №7-ს, იქ ამირეჯიბს სწორედ ის  
უსაყვედურეთ, რომ: „თავის პერსონის დაცვით გატაცებული, უდანა-  
შაულოდ წამებულის პოზის ძებნაში, ის ივიწყებს ქართველი მამული-  
შვილის მოვალეობას — უპასუხოდ სტოვეებს საქართველოს ეროვნული  
გმირის, ქაქუცას შეურაცყოფას“ო, და გაკვირვებას გამოვსთქვამდით,  
რომ ამირეჯიბი ასე იქცევა არა პირველად და ასევე მოიქცა, მაშინაც,  
როცა მენშევიკების მიერ ქაქუცასთან ერთად შეურაცყოფილნი იყვნენ  
მთელი პლეადა ეროვნული მოღვაწეებისა.

დასასრულს, უნდა შევეხოთ იმ საზიზღარ ცილისწამებას, რომელ-  
საც შალვა ამირეჯიბი ელიზბარ ვაჩნაძის პირით „ახალ ივერია“ს ესე-  
რის, სასურველი იყო ამირეჯიბს მეტი გამბედაობა გამოეჩინა და ეს  
ბრალდება მეტის სიცხადით ეთქვა. მაგრამ რაც არის, ისიც საკმარისია  
რომ ჩვენს წრეს ჩირქი მოეცნოს. ამირეჯიბი — ეს ჩვენი დროის შადი-  
მანი — სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მას უნდა ქართველ საზოგადო-  
ებაში იქვები აღძრას „ახალი ივერია“ს ვილაცებთან „საექვო“ დამოკი-  
დებულების გამო.

ჩემი მეგობრებისა და ჟურნალის რედაქციის რწმუნებით ვაცხა-  
დებ: ჩვენ შადა ვართ ყოველ წუთს ქართველ საზოგადოებას წარუდ-  
გინოთ ჩვენი არსებობის სრული შემოსავალ გასავლის ანგარიშები. ვიწ-  
ვევთ „კავკასია“საც: გამოვაქვეყნოთ ორივე ჟურნალის საარსებო ანგა-  
რიშები, დავასახელოთ ჩვენი ბიუჯეტის რაოდენობა და შემოსავლის  
წყარო. დეე ქართველმა საზოგადოებამ შეაფასოს ვის როგორი „სუნ-  
ღის“!

თუ „კავკასია“ს ხელმძღვანელებს სინიღისი სუფთა აქვთ, ამ გამო-  
წვევას უპასუხოდ ვერ დასტოვებენ. ამირეჯიბს ვაძლევთ საშვალებას,  
საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ „კავკასია“ საქართველოს მტრების  
ხარჯზე არ იცემა და „ახალი ივერია“ „საექვო“ წყაროთი არსებობს.

არ არის საკმარისი რომ ამირეჯიბმა გულუბრყვილო ადამიანები  
არწმუნოს იაპონია და გერმანია გვაძლევს დანმარებასო. ეს თვით ქარ-  
თველმა საზოგადოებამ შეაფასოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთან  
ერთად ყველა ქართველს სრული უფლება ექნება, ამირეჯიბის ორგა-  
ნო „კავკასია“ს საარსებო წყაროს უწოდოს არა მარტო საექვო, არამედ  
საქართველოს მტრებისაგან მომდინარეც.

დ. სინჯიკაშვილი



## „ერთხელ მე და პაპა ჩემი“

( მ ი ბ ა ძ ვ ა )

ერთხელ მე და პაპა ჩემი მივეუსხედით ბუხარს სახლში; არ ვიცი რად, პაპა ჩემსა არ უყვარდა ყოფნა ხალხში.

მერე ვკითხე პაპა ჩემსა: — პაპა ჩემო, ამიხსენი ვითარ იყო უცხოეთში, მამულისთვის ღვაწლი თქვენნი;

როცა თქვენმა ჟორდანიაჲმ, საქართველო მისცა მტერსა, თქვენც უცხოეთს გაიხიზნეთ, რა უყავით იმ ბებერსა?

— ეჰ, ბაღლი ხარ, ვერ გაიგებ პოლიტიკის ბრძნულთა გზათა, აღმშენებლის ღვაწლს ვადრიდით მის საქმეს და მისთა ცდათა.

— მერე პაპა, როცა ნოემ კიდევ ერთხელ გვიღალატა, როს დასთესა თქვენში ღვარძლი, არ მოშორდით მაშინ რათა?

— გეუბნები რომ ბაღლი ხარ. მეტიჩარავ, უგუჟურო. შენ რა იცი ფულის ფასი, რა გინახავს უსუსურო.

— პაპავ, ნუ გამიჯავრდები, ერთი კიდევ გკითხო უნდა: როცა ფულიც აღარ მოგცათ მაშინ ვისკენ ვინ მიბრუნდა?

— მაშინ შვილო, ჩვენც ერთმადვერით მგლებივითა, [ნეთს ყვეფდით და ვილანდებოდით გავახარეთ მტერი მითა.

ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს თაყვანს ვცემდით „როგორც მხედა ოსანა ვუგალობეთ, „ღარს“ როცა მოკვდა, მისსა ცხედარს.

— მერე პაპა, ბოლოს ამგვარ ვარჯიშობით დალოღებნი, ზომ შერიგდით? მტრის საფრთვერებიანო ასე მგლები. [ხის წინ

— არა შვილო. გვარდილობამ ამის ნება ჩვენ არ მოგვცა, მხოლოდ კუჭმა თვისი წვლილი მოითხოვა მწვავედ როცა,

ვისაც აღარ აღმოაჩნდა ნებისყოფა თუ ნამუსი, ისეთ საქმეს მიჰყო ხელი, არ იქმონდა არცა რუსი:

ზოგი ნოეს დაუბრუნდა, თავს ირჩენდა ნასუფრალით, ზოგმა სომხებს მიაშურა, თავს უშველა ზოგმა ქალით;

ვისაც ნოემ არ-რა მისცა, არც სომეხმა, არცა ქალმა, ისინი ლეკს ყმად გაუხსდნენ, მოიხვიეს თავზე ჩალმა.

— მერე პაპა? — კიდევ მერე... აქ გაჯავრდა პაპა ჩემი, — შემაწუხე ამდენ კითხვით ემე ვუზ ან პრი დამეხსენი.

ჩვენც ვიღვაწეთ და მახვილი ვით შეგვეძლო ისე ვლესეთ. განა სავალდებულოა, ის მოვიმკათ, რაც დაეთესეთ!

იქაც საქმე გაგვიჭირეს  
შენისთანა მეტიჩრებმა.  
ერთს ცუდსა იქ, ათს კარგს იზამ,  
ცუდი თურმე მეტი რჩება!



## ემიგრაციაში

— 13 თებერვალს ბ-ნ გიორგი ჟურჟულის თავმჯდომარეობით ბ-ნ დავით ვაჩნაძემ წაიკითხა მოხსენება: „საქართველო-კავკასიის სადღესისო-საკითხები“ მომხსენებელს საკითხი საფუძვლიანად დაუმუშავებია და ფაქტიური მასალით მდიდარმა, კარგად დალაგებულმა მოხსენებამ ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. საუბარი სწარმოებდა უმთავრესად ჟურნალ „კავკაზის“ პოზიციის ირგვლივ. საუბარში მონაწილეობა მიიღეს: ბ. ბ. ინე. სიმონ ციციშვილმა, გ. ნოზაძემ, გ. კერესელიძემ, რ. გაბაშვილმა, კ. გვარჯალაძემ, ს. მენაღარმა, მ. ლაშქარაშვილმა, ა. მანველიშვილმა, რ. არსენიძემ გ. ჯაყელმა და დ. ვაშაძემ. ორატორები ეთანხმებოდნენ მომხსენებლის თეზას სამხრეთიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ყველას მიერ ერთსულოვნად იქმნა დაგმობილი ჟურნალ „კავკაზის“ პოზიცია, რომელიც ორატორების აზრით ანტიქართული და ანტიკავკასიური. მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა თვით თავმჯდომარემ ბ-ნმა გ. ჟურჟულმა. მან ენერგიულად დაჰგმო „კავკაზის“ გაოსვლა და ქართველობას მოუწოდა მეტი სიფრთხილისაკენ.

ბ-ნმა მ. კერესელიძემ განაცხადა, რომ ისინი არ იზიარებენ და ჰგმობენ „კავკაზის“ პოზიციას, მხოლოდ მხარს არ დაუჭერენ „კავკაზის“ ქართველ თანამშრომელთა საზოგადოებიდან გაძევებას. (საკითხი სწორედ ასე სდგას. ქართველი საზოგადოების დიდი უმრავლესობა თანაუგრძნობს, ბამატის ქართველ თანამშრომელთა კოლონიიდან გაძევების აზრს).

— 30 იანვარს, გეოგრაფიულ საზოგადოების დარბაზში მოეწყო შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად საზეიმო კრება. მოხსენებები წაიკითხეს: ბ. ბ. ს. ფირცხალავა, რ. არსენიძე, ა. მანველიშვილი და გ. გვაზავამ. „ვეფხის ტყაოსნიდან“ ადგილები წაიკითხა ბ. ს. ბერეჟიანმა.

— გამოვიდა ბ-ნ გ. გვაზავა და ქ-ნ პანის მიერ ფრანგულად თარგმნილი „ვეფხის ტყაოსანი“. ტექსტი თარგმნილია პროზად, მაგრამ ტაეპებად დაყოფა შენარჩუნებულია. წიგნს დართული აქვს რუსთაველის სურათი და ბ-ნ გიორგი გვაზავას წინასიტყვაობა. გამოცემა ლამაზადაა შესრულებული. წიგნი ღირს 20 ფრანკი.

— გამოვიდა ბ-ნ ალ. მანველიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები“. ავტორი დაკვირვებითა და ცოდნით არკვევს „კავკაზის“ მეოხებით დღეს უდროვოდ საქირბოროტოდ ქცეულ საკითხს და პატრიოტიკისთვის შესაფერ დასკვნებს აკეთებს. ბ-ნი მანველიშვილი მადლობის ღირსია სასარგებლო შრომის გაწევისათვის.

— 6 თებერვალს ბ. ელისე პატარიძემ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „დამოკრატისში, პარლამენტარისში და რეჟიმის საკითხი“. მოხსენებას მოჰყვა კამათი და მონაწილეობა მიიღო ათამდე მსურველმა.